გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები – კორუფციის რისკები

2013 წლის დეკემბერი

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
რუსთაველის გამზ. 26, თბილისი
ტელ: (+995 32) 292 14 0
ვებგვერდი: http://transparency.ge/
იმეილი: info@transparency.ge

ამ ანგარიშის ელექტრონული ვერსია, ინტერაქტიული ვიზუალიზაციები და წყაროდ გამოყენებული მონაცემები ხელმისაწვდომია აქ: http://transparency.ge/simplified-procurement

დაასკანერეთ მობილური ხელსაწყოთი

ეს ანგარიშში მომზადდა ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს (OSGF), სლოვაკეთის რესპუბლიკის განვითარების დახმარებისა (SlovakAid) და შვედეთის განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გადმოცემული მოსაზრებები „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ეკუთვნის და დონორი ორგანიზაციების პოზიციას არ ასახავს.

რეზიუმე

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პირდაპირი კონტრაქტები ხშირად საჯარო მოხელეებთან დაკავშირებულ კომპანიებთან ფორმდებოდა. აღნიშნული კომპანიები კი ამ გზით დიდი ოდენობით შემოსავალს იღებდნენ. ამასთან, 2011 და 2012 წლებში მსგავსი კონტრაქტები დაიდო იმ კომპანიებთანაც, რომლებიც, ამავდორულად, მმართველი პარტიის შემომწირველებს წარმოადგენდნენ. შესაძლოა, რომ აღნიშნული კონტრაქტების ნაწილი უბრალოდ შემოწირული თანხის უკან დაბრუნების მიზნით დაიდო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ" 2010 წლის დეკემბერსა და 2013 წლის სექტემბრის პერიოდში ტენდერის გამოცხადების გარეშე, პირდაპირი წესით დადებული 430,000-ზე მეტი კონტრაქტი გააანალიზა. 2011 წელს, სახელმწიფომ 959 მილიონი ლარის ღირებულების პირდაპირი კონტრაქტი გააფორმა. 2012 წელს მსგავსი კონტრაქტების ღირებულებამ 1.17 მილიარდ ლარს მიაღწია, 2013 წლის პირველი ცხრა თვის მანძილზე კი მათი მოცულობა 450 მილიონი ლარი იყო. გასულ წელს, არაკონკურენტული წესით გაფორმებულმა კონტრაქტებმა მთავრობის დანახარჯების 18% შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 4.7%-ია.

არსებობს საშიშროება, რომ პირდაპირ გაფორმებულმა კონტრაქტებმა მთავრობის ხარჯების გაუმართლებელი ზრდა გამოიწვიოს. აღნიშნულ შემთხვევაში, არ არსებობს ფასის დაწევის შესაძლებლობა, რასაც, ტენდერის გამოცხადებისას, კონკურენტი კომპანიის არსებობა უზრუნველყოფს. ამასთან, კონტრაქტების გაფორმება გამჭვირვალე ელექტრონული შესყიდვების სისტემის გვერდის ავლით ზრდის კორუფციის რისკებს, რადგანაც, კონტრაქტები შესაძლოა ხელისუფლებასთან დაკავშირებულ ან მმართველი პარტიის მხარდამჭერ კომპანიებთან დაიდოს.

2012 წელს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" შემოწირულობების სახით 6.6 მილიონი ლარი მიიღო სწორედ იმ პირებისაგან, რომელთა კომპანიებმაც სახელმწიფოსგან პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით 160 მილიონი ლარი მიიღეს. (იმავე კომპანიებმა 2011 წელს 110 მილიონი ლარი მიიღეს.)

„საერთაშორისო გამჭვრივალობა - საქართველომ" ასევე აღმოაჩინა, რომ 2013 წელს „ელიტა ბურჯმა," რომელსაც, სავარაუდოდ, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ოფშორული კომპანიების მეშვებით ფლობს, „ქართულ ოცნებას" 50,000 ლარი შესწირა. „ელიტა ბურჯმა" შინაგან საქმეთა სამინისტროსგან პირდაპირი კონტრაქტის მეშვებით (აღნიშნული კონტრაქტი გასაიდუმლოებულია) 80,000 ლარი მიიღო.

მთლიანობაში, მსგავსი სახის „უკანგორება" (ე.წ. „ატკატი", kickback payments) საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ნაკლებად შეინიშნებოდა, თუმცა მაინც რჩება რისკი, რომ პირდაპირი კონტრაქტები შეიძლება პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისთვის იქნეს გამოყენებული.

ანგარიში ასევე მიუთითებს, რომ არსებობს საკანონმდებლო ხარვეზი: პირდაპირი კონტრაქტების გაფორმება მთავრობის (წარსულში კი პრეზიდენტისაც) განკარგულების საფუძველზეცაა შესაძლებელი. ამ უფლებით სამთავრობო უწყებები ხშირად ბოროტად სარგებლობენ, რაც კორუფციისა და ნეპოტიზმის რისკს ქმნის.

ანგარიშში განხილულია რიგი შემთხვევები, როდესაც პირდაპირი კონტრაქტები ფორმდება პარლამენტის წევრების (როგორც ყოფილი, ასევე მოქმედი) კუთვნილ კომპანიებთან:

- პარლამენტის წევრი გოჩა ენუქიძე („კია მოტორსი," „იბერია სერვისი"): 30.9 მილიონი ლარის ღირებულების 415 კონტრაქტი;
- პარლამენტის წევრი სერგო ხაბულიანი („ცეკური"): 12.3 მილიონი ლარის ღირებულების 16 კონტრაქტი;
- პარლემენტი წევრი კახაბერ ოქრიაშივილი (PSP, „ნიუ ჰოსპიტალსი"): 4.94 მილიონი ლარის ღირებულების 142 კონტრაქტი;
- პარლამენტის ყოფილი წევრი კანდიდ კვიციანი („ენგური 2006," „ნიუ ქუნსთრაქშენ"): 31.9 მილიონი ლარის ღირებულების 17 კონტრაქტი;
- პარლამენტის ყოფილი წერვი თემურ კოხოძე („თეგეტა მოტორსი"): 7.4 მილიონი ლარის ღირებულების 214 კონტრაქტი;
- პარლამენტის ყოფილი წევრი ასლან თავდგირიძე („ხინო"): 5.59 მილიონი ლარის ღირებულების 11 კონტრაქტი;
- აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრი რევაზ არძენაძე (შპს „ფიროსმანი"): 3.92 ლარის ღირებულების 9 კონტრაქტი.

ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთი ის კომპანია, რომლებიც ხშირად იღებს სარგებელს პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით, საჯარო მოხელეებს უკავშირდება.

შპს „ნიუ ენერჯი" ფინანსთა სამინისტროს გამომძიებლების ინფორმაციით მცხეთა მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის ცეზარ ჩოჩელის კუთვნილი კომპანიაა, რომელმაც 2011 და 2012 წლებში პირდაპირი სახელმწიფო კონტრაქტების მეშვეობით 69 მილიონი ლარი მიიღო.

შპს მენო ინტერნეიშენალმა, რომელსაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი ფლობს, 36.9 მილიონი ლარი მიიღო. ჩიქოვანის კუთვნილმა მეორე კომპანიამ მაგი სტილმა კი 1 მილიონი ლარი.

სამშენებლო კომპანია შპს ანაგმა, რომლის მფლობელიც აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრის (2008-2012) ზაზა გოგოტიშვილის მეუღლე ნანა აროშიძეა, სახელმწიფოსთან 59.2 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტები გააფორმა მაიშნ, როდესაც მისი მეუღლე აჭარის რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს წევრი იყოს. აქედან, 10 მილიონი ლარი კომპანიამ აჭარის სპორტის სამინისტროსგან მიიღო.

კომპანიამ „ევროკანდელა“ დაარსებიდან სამი კვირის შემდეგ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კუთვნილ ორგანიზაციასთან „ანაკლია-განმუხური რესორტსი“ პირდაპირი წესით გააფორმა 2.1 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტი, რომელიც გარე განათების ბოძების მიწოდებას ითვალისწინებდა;

2011 წლის სექტემბერში, „ევროკანდელა“-ს თანადამფუძნებელი რეგიონული განვითარების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდა. აქედან რამდენიმე კვირაში კომპანიამ 600 000 ლარის ღირებულების კონტრაქტი მუნიციპალური განვითარების ფონდთან გააფორმა.

სამშენებლო კომპანია „ლებეს“ კასპის მუნიციპალიტეტმა

პირდაპირი წესით 450 000 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა, ამ დროს კომპანიის 50%-ის მფლობელი - ლევან დემეტრაშვილი კასპის საკრებულოს ერთ–ერთი კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

ამ ანგარიშში წარმოდგენილი ანალიზი მეტწილად ეფუძნება საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს, მათ შორის საჯარო მოხელეთა ქონებრივ დეკლარაციებს, სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს, პარტიების მიერ მიღებული შემოწირულობების დეკლარირებულ ოდენობებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ 2013 წლის გაზაფხულზე ინტერნეტში განთავსებულ ახალ ელექტრონულ მონაცემთა ბაზას, რომელშიც შეტანილია პირდაპირი წესით გაფორმებული სამთავრობო კონტრაქტები და რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ისეთი დონის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს, რომელიც ამ ეტაპზე შესაძლოა არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არსებობდეს.

„საერთაშორისო გამჭვრივალობა - საქართველო" მიიჩნევს, რომ პირდაპირი კონტრაქტების ოდენობა მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს და შესყიდვების ეს ფორმა მხოლოდ აუცილებელ შემთხვევებში იქნას გამოყენებული. სახელმწიფო შესყიდვები კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, ანუ გამჭვრივალედ და კონკურენტულად უნდა განხორციელდეს. უმეტეს შემთხვევებში არ არსებობს აღნიშნული სისტემის გვერდის ავლის მკაფიო მიზეზები. შესყიდვების გამჭვირვალედ წარმართვა ხელს შეუწყობს კონკურენტული ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას, დაზოგავს საბიუჯეტო სახსრებს და უზრუნველყოფს მათ ეფექტურ ხარჯვას, ასევე, შეამცირებს კორუფციის რისკს.

რეკომენდაციები

- მთავრობა უნდა ეცადოს კიდევ უფრო შეამციროს იმ პირდაპირი კონტრაქტების რაოდენობა, რომლებიც კომპანიებთან სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული წესებით და ე.წ. პრეზიდენტის/მთავრობის თანხმობის საფუძველზე ფორმდება. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში უნდა შევიდეს ცვლილება, რომელიც უფრო ვიწრო და კონკრეტულ ჩარჩოებში მოაქცევს პირდაპირი კონტრაქტების გაცემის წესს.
- უნდა გამოსწორდეს სამართლებრივი ხარვეზები, რომლებიც ზოგიერთი ტიპის კონტრაქტს ათავისუფლებს ინტერნეტში გამოქვეყნების ვალდებულებისგან. ესენია, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაფორმებული პირდაპირი კონტრაქტები და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან განხორციელებული შესყიდვები.
- იმისათვის, რომ გაიზარდოს სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის ხარისხი და უზრუნველყოფილ იქნას ყველა სახელმწიფო უწყების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიურად გამოქვეყნების მოთხოვნის სრულად დაცვა, საქართველოს პარლამენტმა უნდა გაითვალისწინოს სლოვაკეთის გამოცდილება და განიხილოს საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც კონტრაქტები მხოლოდ მათი გამოქვეყნების შემდეგ შევლენ ძალაში.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური და სხვა შესაბამისი სამთავრობო უწყებები უნდა დააკვირდნენ და შეისწავლონ პირდაპირი წესით გაფორმებული სამთავრობო კონტრაქტები, რათა მთავრობამ (და საზოგადოებამ) მიიღოს დახარჯული თანხის შესაბამისი ხარისხის მომსახურება, და თავიდან იქნეს აცილებული ნეპოტიზმი და კორუფცია.
- მთავრობამ სახელმწიფო აუდიტის სამსახური და სხვა შესაბამისი უწყებები უნდა უზრუნველყოს მათი საზედამხედველო ფუნქციის სათანადოდ შესასრულებლად საჭირო რესურსებით. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობაში ყოფნის დროს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ეფექტური ზედამხედველობის განხორციელებაში ხელის შემშლელი ერთ–ერთი ფაქტორი სწორედ მისი მმართველ პარტიაზე დამოკიდებულება იყო.
- საჯარო სამსახურის ბიურომ უნდა დააყენოს იმ საჯარო მოხელეთა (ახლანდელ და ყოფილ) პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც დაარღვიეს ქონების დეკლარირების წესები და ქონებრივ დეკლარაციებში სრულად არ მიუთითეს მათი კავშირები სხვადასხვა კომპანიებთან.
- დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ფარგლებში ადგილობრივ დონეზე უნდა გაძლიერდეს შიდა საზედამხედველო მექანიზმები. სამინისტროებში არსებობს შიდა აუდიტის დეპარტამენტები, რომელთაც ხარჯებისა და კონტრაქტების შესწავლა შეუძლიათ, მაგრამ ბევრი პირდაპირი

კონტრაქტი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებისა და რეგიონული ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ფორმდება, რომლებსაც შესაძლოა არ გააჩნდეთ ისეთი სტრუქტურები და შესაძლებლობები, რომლებიც ხარჯების კონტროლის სათანადო შიდა სისტემის არსებობას უზრუნველყოფს.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ – რომელსაც 2014 წლის პირველი თებერვლიდან, ცენტრალური მთავრობის მსგავსად, უფლება ექნება განკარგულების საფუძველზე შესყიდვები ტენდერის გავლის გარეშე დაამტკიცოს – მნიშვნელოვნად უნდა გააძლიეროს მისი საჯარო მოხელეების მიერ კონტრაქტების გაფორმების პროცესში ნეპოტიზმისა და კორუფციის პრევენციისა და სანქცირებისაკენ მიმართული ღონისძიებები.
- ზოგადად, საქონელი და მომსახურება კონკურენტული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით უნდა იქნეს შესყიდული. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ სექტორებს, როგორიცაა მშენებლობა, სადაც პროექტების განხორციელების უნარის მქონე ბევრი მიმწოდებელი არსებობს. შესყიდვის კონკურენტულ მეთოდზე გადასვლა დაწევს ფასებს, ხარისხს შესაბამისობაში მოიყვანს ფასთან და შეამცირებს ნეპოტიზმისა და კორუფციის შესაძლებლობებს.

შესავალი

სახელმწიფო შესყიდვები მთავრობის ხარჯების თითქმის 40%-ია და საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დაახლოებით 10.6%-ს შეადგენს. ამის მიუხედავად, სახელმწიფო შესყიდვებს აკადემიური სფეროს წარმომადგენლები და კვლევითი ორგანიზაციები, ისევე, როგორც მედიასაშუალებები, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ.

2013 წლის ივნისში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც მიუთითებდა, რომ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შექმნილი სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული პლატფორმა ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე სისტემას წარმოადგენს კონკურენტული სამთავრობო ტენდერების ჩასატარებლად.[1]

თუმცა, ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ კანონი სამთავრობო უწყებებს უფლებას აძლევს, პრეზიდენტის ან მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, გვერდი აუარონ ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალე სისტემას და, პრეზიდენტის/მთავრობის განკარგულების საფუძველზე, კომპანიებთან კონტრაქტები პირდაპირი წესით გააფორმონ. როგორც ჩანს, ეს დებულება ბოლო წლებში გადამეტებულად გამოიყენებოდა და მრავალი მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტები კომპანიებთან პირდაპირი წესით ისე გაფორმდა, რომ არ არსებობდა მკაფიო მიზეზი, რომელიც საჯარო და კონკურენტული ტენდერის ჩაუტარებლობას გაამართლებდა.

[1] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” მადლობას უხდის კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და მის ხელმძღვანელს თანამშრომლობისთვის.

ბოლო დრომდე, აღნიშნული პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტები სრულიად გაუმჭვირვალე რჩებოდა და საზოგადოებრივ კონტროლს ან მთავრობის საგამოძიებო უწყებების მიერ სიღრმისეულ შესწავლას არ ექვემდებარებოდა. მაშინ, როდესაც ელექტრონულ ტენდერებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და მონაცემი 2011 წლიდან საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია, პირდაპირი წესით გაფორმებულ კონტრაქტებთან დაკავშირებული ინფორმაცია არ მოიპოვებოდა. ვითარება 2013 წლის გაზაფხულზე შეიცვალა, როდესაც კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტების ონლაინ რეჟიმში გამოქვეყნება დაიწყო. შესაძლოა, საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყოს, სადაც სახელმწიფო შესყიდვები ამდენად გამჭვირვალეა. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ქვეყნების რიცხვი ძალიან ცოტაა.

ონლაინ რეჟიმში ამჟამად ხელმისაწვდომია პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტები 2010 წლის დეკემბრიდან. რთულია იმაზე საუბარი, თუ რამდენად სრულია აღნიშნული მონაცემები, თუ არ ჩავთვლით იმ კონტრაქტებს, რომლებიც ეროვნული უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე გასაიდუმლოებული რჩება. რიგ შემთხვევებში, სამთავრობო უწყებები კონტრაქტებს რამდენიმე კვირის დაგვიანებით ტვირთავენ.

2013 წლის სექტემბრის ბოლოს მონაცემთა ბაზა 426,000-ზე მეტ გამარტივებული შესყიდვების წესების მიხედვით გაფორმებულ კონტრაქტს შეიცავდა; მათ შორის ბევრი მცირე მოცულობის შესყიდვებს ეხებოდა, რომელთა ღირებულება არ სცილდებოდა ზღვარს, რომლის შემდეგ ელექტრონული ტენდერის ჩატარება სავალდებულო ხდება.

მონაცემთა ბაზა – http://tenders.procurement.gov.ge მოიცავს შესაბამის მეტა მონაცემებს (მათ შორის, შემსყიდველი ორგანიზაციის და მიმწოდებლის დასახელებებს, მიმწოდებლისთვის გადახდილი თანხის ოდენობას და ანგარიშსწორების თარიღებს, სახელმწიფო სახსრების წარმომავლობასა და ე.წ. CPV კოდებს, რომლებიც შესყიდულ საქონელსა თუ მომსახურებას აღნიშნავს) და კონტრაქტებისა და მათში შეტანილი ცვლილებების სკანირებულ ასლებს. ასევე ხელმისაწვდომია ინფორმაცია სამთავრობო უწყების მიერ მიმწოდებელი პირისთვის გადახდილი თანხების შესახებ.

ამ მონაცემების გამოქვეყნებით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, ჩვენი აზრით, სახელმწიფო კონტრაქტების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით საუკეთესო პრაქტიკა დაამკვიდრა, რომლის მსგავსიც, ჩვენი ინფორმაციით, ამ ეტაპზე არც ერთ სხვა ქვეყანაში არ ხორციელდება. ჩვენ ასევე გვსურს, მადლობა გადავუხადოთ სააგენტოს ხელმძღვანელობას, რომელმაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ სახელმწიფო შესყიდვების კვლევის პროცესში დახმარება გაუწია.

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები

ზოგადად, საქონელი და მომსახურება, რომლის ღირებულებაც 5,000 ლარს აღემატება, კონკურენტული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით უნდა იქნეს შესყიდული.[2] კანონი ითვალისწინებს რამდენიმე გამონაკლისს, როდესაც, აღნიშნულ ზღვარს ზემოთ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქონლისა და მომსახურების ე.წ. გამარტივებული შესყიდვის წესები. ასეთ გამონაკლის შემთხვევებს განეკუთვნება:[3]

- გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევები, რაც განმარტებულია, როგორც ისეთი გაუთვალისწინებელი ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ნორმალურ ფუნქციონირებას ან შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს;[4]
- ისეთი შემთხვევები, როდესაც საქართველოს მთავრობა სპეციალური განკარგულების საფუძველზე, რომელიც კონკრეტულ შესყიდვას ან გარკვეული ტიპის შესყიდვებს ეხება, „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში“ შეუფერხებლად ჩატარების მიზნით გამარტივებული შესყიდვის (პირდაპირი შესყიდვის) წესის გამოყენების უფლებას იძლევა; წინამდებარე ანგარიშში, აღნიშნულ წესს პრეზიდენტის/მთავრობის თანხმობის დებულებად მოვიხსენიებთ (უკანასკნელი საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, აღნიშნული თანხმობის გაცემის უფლება პრეზიდენტსა აღარ აქვს). საქართველოს მთავრობას შეუძლია ამ უფლების დელეგირება ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებისთვის არა უმეტეს ერთი წლის ვადით (2014 წლის თებერვლიდან ეს უფლება მათ შეუზღუდავად, დელეგირების გარეშეც ექნებათ);[5]
- ისეთი შემთხვევები, როდესაც საქონლის ან მომსახურების მიწოდების ექსკლუზიური უფლება მხოლოდ ერთ კომპანიას გააჩნია ან როდესაც აუცილებელია შესყიდული საქონლის ტექნიკური მომსახურება და ის აუცილებლად მიმწოდებელმა ან სხვა კონკრეტულმა კომპანიამ უნდა განახორციელოს;
- საჯარო პირების მივლინებებთან დაკავშირებული შესყიდვები;
- ავტომობილების ტექნიკური მომსახურება საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

ელექტრონული შესყიდვებისგან განსხვავებით, გამარტივებული შესყიდვების შემთხვევაში კანონი არც ერთ სავალდებულო პროცედურას არ ითვალისწინებს. არ არსებობს არანაირი წესი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეარჩიონ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა

[2] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის უფრო დეტალური ანალიზი იხილეთ ანგარიშში: „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ (2013): „საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა“http://www.transparency.ge/post/report/sakartvelos-shesqidvebis-elektronuli-sistema .

[3] ყველა გამონაკლისი შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება # 9, მუხლი 3, http://procurement.gov.ge/files/_data/eng/legalacts/order_no_9_20110407.pdf.

[4] კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 10^1 პარაგრაფი 3), http://procurement.gov.ge/files/_data/eng/legalacts/Law_of_Georgia_on_State_Procurement.pdf.

[5] მუხლი 10^1, პარაგრაფი 3^2.

მიმწოდებლები. პრაქტიკაში, შემსყიდველი ორგანიზაციები მიმწოდებლებთან კონტრაქტს, უმეტეს შემთხვევებში, კონკურენტული პროცესის გარეშე აფორმებენ.[6] მას შემდეგ, რაც კონტრაქტს ხელი მოეწერება, შემსყიდველმა ორგანიზაციამ კონტრაქტის სკანირებული ასლი და შესაბამისი მეტა მონაცემები უნდა ატვირთოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ვებ-გვერდზე, რომლის მეშვეობით მონაცემები ონლაინ რეჟიმში ხელმისაწვდომი ხდება.[7]

ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე გასაიდუმლოებული კონტრაქტებიც აღნიშნულ სისტემაშია, თუმცა საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სწორედ ამ დებულებით ისარგებლა და პირდაპირ გაფორმებული კონტრაქტები არ გამოაქვეყნა.

პრეზიდენტის/მთავრობის თანხმობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები

აღნიშნული დებულება, რომელიც მთავრობას უფლებას აძლევს, პრეზიდენტის ან მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვები გამარტივებული წესით განახორციელოს, 2010 წლის დეკემბრიდან 2013 წლის სექტემბრის ჩათვლით ფართოდ გამოიყენებოდა.

„საქართველოს პრეზიდენტის ან/და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგინდა შესყიდვების განხორციელება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით“.[8]

2013 წლის სექტემბერში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლი (პარაგრაფი 3, პუნქტი დ) კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეიცვალა. ახალი რედაქციით პრეზიდენტს აღარ აქვს უფლება „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის“ შესყიდვებისთვის გამარტივებული შესყიდვის წესებით განხორციელებაზე თანხმობის გაცემის უფლება. აღნიშნული უფლება მხოლოდ მთავრობას აქვს, რომელსაც შეუძლია იგი ავტონომიური რესპუბლიკების (აჭარა და აფხაზეთი) მთავრობებს გადასცეს.

[6] შემსყიდველი ორგანიზაციის სურვილის შემთხვევაში, გამარტივებული შესყიდვის განხორციელება ასევე შესაძლებელია კონკურენტული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული პლატფორმიდან https://tenders.procurement.gov.ge.

[7] კონტრაქტები ხელმისაწვდომია ვებსაიტზე http://tenders.procurement.gov.ge. მომხმარებლები საიტზე უნდა დარეგისტრირდნენ და სისტემაში შესვლის შემდეგ დააჭირონ ბმულს “CMR,” რომელიც საწყისი გვერდის მარჯვენა კუთხეშია განლაგებული. პირდაპირი კონტრაქტები, მათ შორის ისინი, რომლებიც ამ ანგარიშშია მოხსენიებული და რომელთა კოდიც CMR-ით იწყება სწორედ ამ ბაზაშია ხელმისაწვდომი.

[8] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება # 9 „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 3 (2ვ).

2014 წლის თებერვლიდან კი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობებს ეს უფლება თავადაც მიენიჭებათ.[9]

კანონმდებლობა მთავრობას უფლებას აძლევს, თავად მოახდინოს „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებისა“ და „შეზღუდული ვადების“ ინტერპრეტაცია. ეს ფაქტობრივად ქმნის საკანონმდებლო ხარვეზს, რომელიც საშუალებას იძლევა, პირდაპირი შესყიდვის წესი, გამჭვირვალე ელექტრონული ტენდერის პროცედურების გვერდის ავლით, ნებისმიერი ღირებულების ან ტიპის საქონელზე ან მომსახურებაზე გავრცელდეს. სამართლებრივი აქტები (განკარგულებები), რომელთა საფუძველზეც ხდება პირდაპირი კონტრაქტების გაფორმება, ხშირად საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომელია.[10]

არსებობს რამდენიმე ლეგიტიმური მიზეზი, რის გამოც მთავრობამ შეიძლება გადაწყვიტოს კომპანიასთან კონტრაქტის პირდაპირი წესით, კონკურენტული ელექტრონული ტენდერის გვერდის ავლით გაფორმება, მაგალითად:

- სამთავრობო უწყებისთვის საშუალების მიცემა, რომ კონტრაქტი გააფორმოს სხვა სამთავრობო უწყებასთან ან სახელმწიფო კომპანიასთან, რომელიც განახორციელებს საქონლის ან მომსახურების მიწოდებას. საქართველოში ასეთ ხელშეკრულებებს ხშირად საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან (სსიპ) აფორმებენ. აღნიშნული დამოუკიდებელი სამთავრობო უწყებების შემოსავლის წყაროს საზოგადოებისთვის და ცენტრალური მთავრობის ორგანოებისთვის მომსახურების გაწევა წარმოადგენს;
- სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტის იმგვარად გაფორმება, რომ ის შეესაბამებოდეს დონორი ორგანიზაციების მოთხოვნებს, რომლებიც კონკრეტული პროექტისთვის თანადაფინანსების არსებობას ითვალისწინებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ბევრი ისეთი კონტრაქტი აღმოაჩინა, რომელიც გამჭვირვალე და კონკურენტული ელექტრონული ტენდერის გარეშე იყო გაფორმებული და, ხშირ შემთხვევაში, ჩვენ ვერ დავინახეთ აშკარა მიზეზები, რომელთა გამოც კონკრეტული კომპანია ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურების მიმწოდებლად იქნა შერჩეული. როგორც ჩანს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, პრეზიდენტის/მთავრობის თანხმობის დებულება გამჭვირვალე და კონკურენტული პროცესებისთვის გვერდის ავლის მიზნით ხშირად არასათანადოდ გამოიყენებოდა, რაც განსაკუთრებით სამშენებლო პროექტებს ეხებოდა. ახლანდელი მთავრობის პირობებში აღნიშნული პრობლემა ნაკლებად იკვეთება, თუმცა ჩვენ ასევე აღმოვაჩინეთ რამდენიმე მსხვილი კონტრაქტი, რომლებშიც კონკურენტული ელექტრონული ტენდერისთვის გვერდის ავლის მკაფიო მიზეზები არ ჩანდა.

[9] https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2032352&lang=ge.

[10] ზოგი განკარგულება ხელმისაწვდომია CMR-ის მონაცემთა ბაზიდან ან კანონმდებლობის სახელმწიფო მონაცემთა ბაზიდან https://matsne.gov.ge.

ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი დებულებები გამარტივებული შესყიდვების შემთხვევაში

კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ადგენს, რომ გამარტივებული შესყიდვის დროს მიმწოდებლის შერჩევისას თავიდან უნდა იქნეს აცილებული ინტერესთა კონფლიქტი.[11] შესაბამისი ტერმინის განმარტება მოცემულია საგადასახადო კოდექსში (სადაც ის მოხსენიებულია როგორც „ურთიერთდამოკიდებულება“), რომლის მიხედვით პირები, რომლებიც ჩართულნი არიან რაიმე გარიგებაში, არ შეიძლება პირდაპირ ან ოჯახური კავშირების მეშვეობით ფლობდნენ გარიგების მონაწილე მეორე კომპანიის აქციების 20%-ზე მეტს.[12] საგადასახადო კოდექსის ის დებულება, რომელიც ინტერესთა კონფლიქტს განმარტავს როგორც ერთი მხარის მიერ მეორის არაპირდაპირ კონტროლს, არც ერთი სახის სახელმწიფო შესყიდვას არ ეხება.[13]

მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციისთვის პრეტენდენტი კომპანიის ან მიმწოდებლის ვინაობა ცნობილი გახდება, პრეტენდენტმა კომპანიამ წერილობით უნდა დაადასტუროს, რომ ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ აქვს. ელექტრონული ტენდერების შემთხვევაში, ეს დოკუმენტაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია ელექტრონული შესყიდვების სისტემის ვებ-გვერდზე, მაგრამ ეს არ ეხება გამარტივებულ შესყიდვებს. იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს, შესაბამისმა პირმა ამის შესახებ უნდა განაცხადოს და შეწყვიტოს შესყიდვის პროცესში მონაწილეობა.[14]

თანამდებობის პირს, ასევე მისი ოჯახის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა ან ასრულებდეს რაიმე სამუშაოს საქართველოში რეგისტრირებულ იმ საწარმოში, რომლის სამეწარმეო საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება. ამასთან, თანამდებობის პირს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე საწარმოში. თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება არა აქვს ფლობდეს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომლის საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.[15]

[11] კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 8 (1).
[12] საგადასახადო კოდექსი, მუხლი 19.
[13] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება # 9, მუხლი 17 (4).
[14] კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლები 4 და 5.
[15] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ,“ მუხლი 13, https://declaration.gov.ge/res/docs/ka/sajaro_samsaxurSi_interesTa_SeuTavseblobisa_da_korufciis_Sesaxeb_saqarTvelos_kanoni.pdf.

პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტების ანალიზი

2011 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დადებული კონტრაქტების 66% (1.751 მილიონი ლარი) გამჭვირვალედ, ელექტრონული შესყიდვების სისტემით გაფორმდა, რაც ნებისმიერ პირს საშუალებას აძლევს, ამ კონტრაქტებთან დაკავშირებულ ყველა სატენდერო დოკუმენტაციასა და შეთავაზებას გაეცნოს. (კონტრაქტები იმ კომპანიებთან გაფორმდა, რომლებმაც ყველაზე დაბალი ფასი წარადგინეს). კონტრაქტების 34% (910 მილიონი ლარი) კი კონკურენტული პროცესის გარეშე, პირდაპირი, ე.წ. „გამარტივებული შესყიდვის წესით“ გაფორმდა.[16]

2012 წელს პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტების ოდენობა მკვეთრად გაიზარდა: კონკურენტული ელექტრონული ტენდერის გზით კონტრაქტების მხოლოდ 55% (1.532 მილიონი ლარი) გაფორმდა, 45%-ის (1.238 მილიონი ლარი) გაფორმება კი არაკონკურენტული, გამარტივებული შესყიდვის წესებით მოხდა.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაცია განსხვავდება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ბაზიდან ამოღებული ინფორმაციისგან. ეს შეიძლება განპირობებული იყოს თავად მონაცემთა უზუსტობებით (კონტრაქტები სხვადასხვა ვალუტაში ფორმდება) ან იმ ფაქტით, რომ ჩვენი მონაცემები არ შეიცავს გასაიდუმლოებულ კონტრაქტებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მონაცემების მიხედვით, სახელმწიფო არაკონკურენტულმა შესყიდვებმა 2011 წელს 959 მილიონი ლარი შეადგინა (რამდენიმე მსხვილ–მასშტაბიანი სარკინიგზო პროექტის ჩათვლით – 2.1 მილიარდი ლარი), 2012 წელს – 1.17 მილიარდი ლარი, ხოლო 2013 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში დაახლოებით 450 მილიონი ლარი დაიხარჯა (163 მილიონ ლარიანი გარდაბნის თბოელექტროსადგურის გამოკლებით).

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის საქმიანობის ანგარიშის მიხედვით, არაკონკურენტული წესით გაფორმებული კონტრაქტების ღირებულების მკვეთრი ზრდა უმეტესწილად „მთავრობის/პრეზიდენტის თანხმობით განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების 200 მლნ.-მდე ლარით გაზრდით იქნა გამოწვეული“.[17] შესაბამისად, დაახლოებით 800 მილიონი ლარი პრეზიდენტის ან მთავრობის განკარგულებების საფუძველზე დაიხარჯა, რამაც 2012 წელს შესაძლებელი გახადა, რომ მრავალი კონტრაქტი კონკურენტული პროცედურებისთვის გვერდის ავლით გაფორმებულიყო.

[16] კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო: „2011 წლის საქმიანობის ანგარიში“, გვ. 22, http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=35 (ნანახია 2013 წლის 10 სექტემბერს).

[17] კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო: „2012 წლის საქმიანობის ანგარიში“, გვ.21, http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=35 (ნანახია 2013 წლის 10 სექტემბერს).

როგორც ჩანს, პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტების მთლიანი ღირებულების ზრდა 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით იყო განპირობებული: ამის ერთ-ერთი ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ სურდა სწრაფად დაეწყო და განეხორციელებინა მსხვილი პროექტები, რომელთა დიდი ნაწილი ინფრასტრუქტურის განვითარებას უკავშირდებოდა. როგორც ამ ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზი გვაჩვენებს, ასევე არსებობს არაერთი ნიშანი იმისა, რომ კონტრაქტების გარკვეული ნაწილი „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა ფინანსური წახალისებისთვის ან კოალიცია „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ წარმოებული მაღალკონკურენტული და ძვირადღირებული კამპანიის დასაფინანსებლად თანხების მოსაზიდად იქნა გამოყენებული.

პრეზიდენტის/მთავრობის თანხმობით პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტების ღირებულებამ პიკს საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში 2012 წლის აგვისტოში (131 მილიონი ლარი) მიაღწია. 2012 წლის ნოემბერში არჩევნებისა და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გამარტივებულ შესყიდვებზე გაწეული დანახარჯები 15 მილიონ ლარამდე დაეცა. ბოლო თვეებში კი შეინიშნება პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტების მთლიანი ღირებულების ნელი, მაგრამ სტაბილური ზრდა (იხილეთ გრაფიკი 1); [18] გრაფიკზე გამოსახული ტრენდის ხაზი იმაზე მიანიშნებს, რომ ახალი მთავრობის პირობებში გამარტივებული შესყიდვების წილს ზრდის იგივე ტემპი ახასიათებს, როგორიც წინა მთავრობის პირობებში შეინიშნებოდა.

ქვემოთ მოყვანილი მე–2 გრაფიკი ნათლად ასახავს იმ ფაქტს, რომ პირდაპირი კონტრაქტების უდიდესი ნაწილი მშენებლობის სექტორზე მოდის. საყურადღებოა, რომ ამ მხრივ წინა და ახალ ხელისუფლებას შორის განსხვავება არ არის. სამშენებლო სექტორში მრავალი მოთამაშეა, რომელსაც ხარისხიანად შეუძლიათ დაკვეთის შესრულება. შესაბამისად, რთული დასამტკიცებელი უნდა იყოს ის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ასეთი დიდი რაოდენობის სამშენებლო პროექტები საზოგადოებისთვის იმდენად მნიშვნელოვანი და სასწრაფოა, რომ კონკურენტული ტენდერის გამოცხადებაზე უარის თქმა გამართლებული იყოს.

[18] წყარო: სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ეროვნული სისტემის CMR მონაცემთა ბაზა: https://tenders.procurement.gov.ge (ბაზაზე წვდომისთვის აუცილებელია უფასო რეგისტრაცია). გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ ვერ შევძელით, შეგვემოწმებინა, თუ რამდენად სრულია ეს მონაცემები; ეს განსაკუთრებით ეხება 2010-2011 წლების პერიოდს, რომელშიც ბაზას შესაძლოა, კონტრაქტების მნიშვნელოვანი ნაწილი აკლდეს. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციით, 2012 წლის მარტის შემდგომი მონაცემები ძირითადად სრული უნდა იყოს. მონაცემთა ბაზა, როგორც ჩანს, არ მოიცავს ეროვნული უსაფრთხოების მოსაზრებების საფუძველზე გასაიდუმლოებულ კონტრაქტებს.

გრაფიკი 1: გამარტივებული შესყიდვის წესებით გაფორმებული კონტრაქტების ყოველთვიური მთლიანი ღირებულება. [19]



[19] ანგარიშში მოყვანილი გრაფიკებიდან ამოღებულია რამდენიმე 60 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების კონტრაქტი. ესენია: შპს „ჩინეთის რკინიგზის 23–ე ბიუროს ჯგუფი“ (China Railway 23 rd Bureau Group Co Ltd, სარკინიგზო მშენებლობა), „აზეროილსერვისი“ (სარკინიგზო მშენებლობა), შპს "ჰუანჩუან ჯორჯია ლიმიტედ" (თბილისის იუსტიციის სახლის მშენებლობა), „ჩალიკი“ (გარდაბნის თბოელექტროსადგურის მშენებლობა). მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი უმსხვილესი კონტრაქტების შესახებ.

პირდაპირი წესით შესყიდული საქონლისა და მომსახურების სახეობები

2010 წლის დეკემბრიდან 2012 წლის ნოემბრამდე პერიოდში, პირდაპირი შესყიდვის წესით 874.8 მილიონი ლარის ღირებულების სამშენებლო კონტრაქტები გაფორმდა. სიდიდით მეორე სეგმენტს საოფისე და კომპიუტერული ტექნიკის, აღჭურვილობისა და სხვადასხვა მასალების მიწოდება შეადგენდა (80.9 მილიონი ლარი), რასაც მესამე ადგილზე სატრანსპორტო მომსახურება მოსდევს (77.7 მილიონი ლარი).

ახლანდელი ხელისუფლების პირობებში, მთავრობის თანხმობით პირდაპირი წესით შესყიდული საქონლისა და მომსახურების სახეობებმა ცვლილება და დივერსიფიცირება განიცადა. მშენებლობის სექტორი კვლავ ყველაზე მსხვილ მიმწოდებლად რჩება (108 მილიონი ლარი 2013 წლის სექტემბრამდე პერიოდში), პირდაპირი შესყიდვების სფეროში აქტიურობის მიხედვით მეორე ადგილს ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება იკავებს (47.7 მილიონი ლარი), მესამეზე კი სასტუმროსა და რესტორნის მომსახურებაა (42 მილიონი ლარი).

სამშენებლო კომპანიებთან არაკონკურენტული წესით გაფორმებულმა კონტრაქტებმა სავარაუდოდ მნიშვნელოვანი გადახარჯვა გამოიწვია: ელექტრონული ტენდერების ჩატარების შემთხვევაში, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა კომპანიებმა შეიძლება კონტრაქტის ფასი მნიშვნელოვნად დაბლა დაწიონ, რის შედეგადაც საზოგადოება გადახდილი თანხის სანაცვლოდ ადეკვატური ხარისხის მომსახურებას იღებს. როდესაც მრავალმილიონიანი კონტრაქტი სამშენებლო კომპანიასთან პირდაპირი წესით ფორმდება, ფასის დაკლების პოტენციური შესაძლებლობა აღარ არსებობს. იგივე შეიძლება ითქვას სხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, როგორიცაა ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა თუ პოლიგრაფიული მომსახურება.

ქვემოთ მოცემულ ვიზუალიზაციაზე (მე-3 გრაფიკი) ნაჩვენებია საქონლისა და მომსახურების განაწილება მათი ღირებულებისა და „შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის“ (CVP) კოდების მიხედვით. CVP კოდების გამოყენება, რომელიც ნებისმიერ საქონელსა თუ მომსახურებას 9-ციფრიანი კოდით აღნიშნავს, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში სტანდარტული და ფართოდ გავრცელებული მეთოდია.

გრაფიკი 2: კონტრაქტების მთლიანი თვიური ღირებულება გამარტივებული შესყიდვების კატეგორიების მიხედვით.







გრაფიკი 3: პირდაპირი წესით შესყიდული საქონლის/მომსახურების სახეობები („ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდები)

დისტრიბუცია - ნაც.მოძრაობა



CPV დისტრიბუცია - ქართული ოცნება



პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტების ყველაზე მსხვილი შემსყიდველები და მიმწოდებლები

2010 წლის იანვრიდან 2013 წლის სექტემბრამდე ყველაზე მეტი მთლიანი ღირებულების სახელმწიფო პირდაპირი კონტრაქტები შემდეგმა კომპანიებმა მიიღეს:

- „არტესი“ (მშენებლობა), 75.1 მილიონი ლარი;
- „ნიუ ენერჯი“ (მშენებლობა), 68.2 მილიონი ლარი;
- „ანაგი“ (მშენებლობა), 59.2 მილიონი ლარი;
- „კომპანია ბლექ სი გრუპი“ (მშენებლობა), 53 მილიონი ლარი;
- „ალგორითმი“ (კომპიუტერები), დაახლოებით 51 მილიონი ლარი.

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ყველა ეს კომპანია მსხვილი მიმწოდებელი იყო. „ქართული ოცნების“ დროს მათგან მხოლოდ ერთმა – „არტესმა“ მიიღო მსხვილი – 21 მილიონი ლარის ღირებულები კონტრაქტი (რომელიც მოგვიანებით გაუქმდა და ამჟამად სამართლებრივი დავის საგანს წარმოადგენს)

დღევანდელი მთავრობის პირობებში ყველაზე დიდი მიმწოდებელი კომპანია თავდაცვის სამინისტროს შვილობილი შპს „ქართული კვების კომპანიაა“. მასსა და „არტესს“ მოსდევს სამშენებლო კომპანია „ზიმო“, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული „საქართველოს ფოსტა“ და ამერიკული კომპანია Schweitzer Engineering Laboratories (იხილეთ გრაფიკი 4).

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტების მხრივ გამოკვეთილად ყველაზე მსხვილი შემსყიდველი იყო. 2010 წლის დეკემბრიდან 2012 წლის ოქტომბრის ჩათვლით სამინისტრომ სხვადასხვა კომპანიებთან 127 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტები გააფორმა. სიდიდით მეორე შემსყიდველი, 93 მილიონი ლარით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო იყო, რომელსაც მოსდევდნენ შემოსავლების სამსახური, ქალაქ ბათუმის მერია, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების სამინისტრო და შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“.

„ქართლი ოცნების“ მთავრობის პირობებში უმსხვილესი შემსყიდველი (გამარტივებული წესებით) სახელმწიფო უწყება სოციალური მომსახურების სააგენტო გახდა (42.2 მილიონი ლარი). მას მოსდევს თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანია“ და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (იხილეთ გრაფიკი 5).

გრაფიკი 4: არაკონკურენტული სამთავრობო კონტრაქტების ყველაზე მსხვილი ბენეფიციარი კომპანიები







გრაფიკი 5 : არაკონკურენტული კონტრაქტებით საქონლისა და მომსახურების ყველაზე მსხვილი შემსყიდველი სახელმწიფო ორგანიზაციები

შემსყიდვლები

Procurer ID	Procurer (group)	Contract Value
211343982	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	138,386,974
202294980	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	113,845,673
202178927	სოციალური მომსახურების სააგენტო	95,728,821
204525585	შემოსავლების სამსახური	80,049,771
204383176	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	73,616,790
245576826	თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია	69,758,448
200037646	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინ..	62,958,685
404389693	შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	59,993,733
202307404	სამოქალაქო რეესტრის სააგენტო	58,355,438
224086352	ახალციხის მუნიციპალიტეტი	51,759,308
205263873	აღსრულების ეროვნული ბიურო	51,632,352
205140257	სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	51,146,333
206237491	სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	50,423,357
204521794	ქ თბილისის მერია	44,961,803
211333957	საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	41,787,393

0M 20M 40M 60M 80M 100M 120M 140M 160M 180M
Contract Value

შემსყიდვლები - ნაც. მოძრაობა

Procurer ID	Procurer (group)	Contract Value
211343982	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრ..	126,991,809
202294980	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურ..	93,341,568
204525585	შემოსავლების სამსახური	76,598,413
245576826	თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია	68,392,800
200037646	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით..	59,503,222
404389693	შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	55,935,214
204383176	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	51,185,712
205263873	აღსრულების ეროვნული ბიურო	50,739,810
224086352	ახალციხის მუნიციპალიტეტი	50,739,028
202307404	სამოქალაქო რეესტრის სააგენტო	50,247,638
206237491	სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	50,214,496
202178927	სოციალური მომსახურების სააგენტო	49,195,543
205140257	სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	48,954,254
211333957	საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალ..	39,712,007
204521794	ქ თბილისის მერია	38,633,821

0M 40M 80M 120M 160M
Contract Value

შემსყიდვლები - ქართული ოცნება

Procurer ID	Procurer (group)	Contract Value
202178927	სოციალური მომსახურების სააგენტო	42,211,931
204900483	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	36,296,917
204383176	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	22,244,561
220341324	შპს ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანია	21,137,715
202294980	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტური..	20,450,925
204995176	სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	12,057,852
211343982	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქ..	11,393,742
206074193	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	9,488,917
205300048	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	9,478,837
204404723	საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციი..	8,340,380
204521794	ქ თბილისის მერია	5,864,018
412670097	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგე..	4,853,119
401960339	შპს ქართული კვების კომპანია	4,703,453
208144051	შპს საქაერონავიგაცია	4,438,248
204862078	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	4,178,231

0M 50M 100M 150M
Contract Value

მთავრობის ყველაზე მსხვილი პირდაპირი შესყიდვები

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდი (2010-2012)

ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები აღწერს 2010 წლის დეკემბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე მთავრობის მიერ პირდაპირი წესით გაფორმებულ ყველაზე მსხვილ კონტრაქტს, რომლებიც გამოქვეყნებულია კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული შესყიდვების ვებ-გვერდზე (გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ვებგვერდზე ყველა კონტრაქტი არ დევს, მაგალითად, გასაიდუმლოებული კონტრაქტები).

მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ რამდენიმე ბენეფიციარი კომპანია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ მჭიდროდ არის დაკავშირებული. მთავრობამ 10–დან 3 უმსხვილესი კონტრაქტი კომპიუტერულ საწარმო „ალგორითმთან“ გაფორმდა (რომელიც, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მტკიცებით, ვანო მერაბიშვილის მინისტრობის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან პრივილეგიებით სარგებლობდა),[20] 2 კონტრაქტი კომპანია „ანაგთან (რომელსაც აჭარის უმაღლესი საბჭოს მაშინდელი წევრის მეუღლე ფლობს), ხოლო თითო–თითო კონტრაქტი გაფორმდა „ნიუ ენერჯისთან“ (კომპანია, რომელსაც, გამოძიების ვარაუდით, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მაშინდელი გუბერნატორი აკონტროლებდა), „ენგური 2006“-თან (რომლის 50 პროცენტიანი მეწილე „ნაციონალური მოძრაობის“ მაშინდელი მაჟორიტარი დეპუტატია) და „მენო ინტერნეიშნლთან“ (რომლის თანამფლობელია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მაშინდელი თავმჯდომარე). „კავკასუს როუდ ქონსთრაქშენის“ აღმასრულებელი დირექტორი პაატა ტრაპაიძე 2012 წლის ზაფხულში „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ბოლო სამი თვის განმავლობაში დასაქმების მინისტრი იყო. კომპანიას ტრაპაიძის მინისტრობის დროს მსხვილი კონტრაქტი არ მიუღია.

კონტრაქტის ღირებულება	**შემსყიდველი პირი**	**მიმწოდებელი კომპანია**	**შესყიდვის საგანი**
510,053,773 აშშ დოლარი	შპს „მარაბდა–კარწახის რკინიგზა“	ღია სააქციო საზოგადოება აზერიოლსერვისის ფილიალი საქართველოში	3 კონტრაქტი ბაქო–თბილისი–ყარსის რკინიგზის საქართველოს მონაკვეთის ასაშენებლად [21]
597,732,900 ლარი	შპს „საქართველოს რკინიგზა“	შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი“	რკინიგზის მშენებლობა [22]

[20] http://commercial.ge/vano-merabishvili-accused-of-favouritism-towards-friends-companies/.

[21] კონტრაქტი #1: CMR120035125; #2: CMR120034737; #3: CMR120034686. სააქციო საზოგადოება აზეროილსერვისი აზერბაიჯანის ტრანსპორტის სამინისტროს ექვემდებარება. აზერბაიჯანმა აღნიშნული რკინიგზის საქართველოს მონაკვეთის ასაშენებლად 775 მილიონი აშშ დოლარის სესხი გამოყო http://en.trend.az/capital/business/2113493.html.

[22] კონტრაქტის საიდენტიფიკაციო კოდი: CMR120166305.

61,000,000 აშშ დოლარი	„საქართველოს ეროვნული ბანკი“, სსიპ „სამოქალაქო რეესტრის სააგენტო“, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“	შპს "ჰუანჩუან ჯორჯია ლიმიტედ კომპანი"	თბილისის ცენტრში იუსტიციის სახლის მშენებლობა [23]
49,925,102 ლარი	სააქციო საზოგადოება „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“	შპს „ნიუ ენერჯი“	110 კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადენი ხაზისა (ჯახუნდერი–ლალხორი–იფარი–მესტია) და 5 დამატებითი ქვესადგურის მშენებლობა [24]
26,550,000 აშშ დოლარი + 13,688,060 ლარი	სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“	შპს „ალგორითმი“	2011 წელს გაფორმებული ორი იდენტური კონტრაქტი (თითო 13.275 მილიონი აშშ დოლარი) სკოლის მოსწავლეებისთვის 2 წლის მანძილზე მთლიანობაში 100,000 ლეპტოპის (თითო 265.5 აშშ დოლარი) მიწოდებას ითვალისწინებდა. 2012 წელს კიდევ ერთი მსგავსი კონტრაქტი გაფორმდა (ღირებულება 13.688 მილიონი ლარი). [25]
15,815,595 აშშ დოლარი	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	„მიულბაუერ ID სერვისზ გმბჰ" (Mühlbauer ID Services GmbH) (გერმანია)	7 წლიანი კონტრაქტი ID ბარათების დამზადებისთვის საჭირო სერვისებსა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე [26]
10,300,000 ევრო	სსიპ „სამოქალაქო რეესტრის სააგენტო“, სსიპ „საჯარო	„პერმასტელიზა“ (Permasteelisa Interiors	თბილისის იუსტიციის სახლის სახურავის მშენებლობა და ამისთვის

[23] კონტრაქტების საიდენტიფიკაციო კოდები: CMR120078699, CMR120100316. „ჰუანჩუან ჯორჯია“ ჩინეთის სახელმწიფო კომპანიის, შპს China Chengdu Import & Export Group Co–ს შვილობილი კომპანიაა, http://english.cciegroup.com.

[24] კონტრაქტის საიდენტიფიკაციო კოდი: CMR120069375.

[25] კონტრაქტების საიდენტიფიკაციო კოდები: CMR120119129, CMR120050656 and CMR120150589.

[26] კონტრაქტის საიდენტიფიკაციო კოდი: CMR130055776.

	რეესტრის ეროვნული სააგენტო“	s.r.l.)(იტალია)	საჭირო მასალის ტრანსპორტირება [27]
13,300,000 აშშ დოლარი	შემოსავლების სამსახური (ფინანსთა სამინისტრო)	Daisy Technology LLC (ბულგარეთი)	საბუღალტრო მანქანების მიწოდება [28]
13,944,220 ლარი	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"	შპს „ბლექ სი გრუპი“	ქუთაისის აეროპორტის ასაფრენ–დასაფრენი ზოლის განახლება [29]
12,537,330 ლარი	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	შპს „კავკასუს როუდ პროჯექტ“	ანაკლიაში ხის კონსტრუქციის 505 მეტრი სიგრძის საფეხმავლო ხიდის მშენებლობა [30]
11,507,591 ლარი	სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“	შპს „ანაგი“	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობა [31]
11,234,414 ლარი	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	შპს „ენგური 2006“	ზუგდიდი–ჯვარი–მესტია–ლასდილის საავტომობილო მაგისტრალის შეკეთება [32]
9,909,726 ლარი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	შპს „ანაგი“	სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის“ შენობის მოწყობა [33]
9,817,567 ლარი	შემოსავლების სამსახური (ფინანსთა სამინისტრო)	შპს „ფერი	ყაზბეგის ოფისის მშენებლობა [34]
8,301,773 ლარი	შპს „საქართველოს აეროპორტების	შპს „პაულ შულერ უნდ ირაო გრუპ“	ქუთაისის აეროპორტის ტერმინალის მშენებლობა [35]

[27] CMR120186299.
[28]CMR120199363.
[29]CMR120198487.
[30]CMR120016883; დიზაინერი ფირმის, Hess-Timber–ის ვებგვერდი,http://www.hess-timber.com/downloads/aktuell/en/lecture_pedestrian_bridge_georgia.pdf.
[31]CMR120113237.
[32]CMR120035656.
[33]CMR120026683.
[34]CMR120192601.

	გაერთიანება“	(საქართველო)	

„ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდი (2012–2013)

2012 წლის ნოემბრის არჩევნების შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვების რაოდენობა შემცირებული იყო. თუმცა 2013 წლის სექტემბრისთვის ახალმა მთავრობამ გაახშირა მსხვილი კონტრაქტების კონკურენტული პროცედურების გარეშე პირდაპირი წესით გაფორმება, მათ შორის მშენებლობის სფეროშიც.

ყველაზე მსხვილი ასეთი კონტრაქტი (გარდა გარდაბნის თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტისა, რომელიც წინა მთავრობის მემკვიდრეობაა) ივნისში კომპანია „არტესთან“ გაფორმდა. იგი თბილისის ცენტრში პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის სამშენებლო–სარემონტო სამუშაოებს ითვალისწინებს.

აგვისტოს ბოლოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მიიჩნია, რომ „არტესის“ დამფუძნებელი ზაზა კაპანაძე და პარლამენტის ყოფილი წევრი და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე გია ნაცვლიშვილი (რომელიც კომპანიის ფარულ მეწილედ მოიაზრებოდა) 2009-2012 წლებში, სახელმწიფო სამშენებლო პროექტებზე ფასების ხელოვნურად გაზრდის გზით, სახელმწიფო სახსრებს ფლანგავდნენ და ფულს ათეთრებდნენ. სექტემბრის დასაწყისში მთავრობამ „არტესთან“ დადებული კონტრაქტი გაწყვიტა.[36] თავის მხრივ, „არტესმა“ ინფრასტრუქტურის სამინისტროს წინააღმდეგ კონტრაქტის გაწყვეტის გამო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ნაცვლიშვილის ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიერ რაიმე კანონდარღვევის ჩადენა უარყო.[37]

კონტრაქტის ღირებულება[38]	**შემსყიდველი პირი**	**მიმწოდებელი კომპანია**	**შესყიდვის საგანი**
163,543,830 აშშ დოლარი	შპს "გარდაბნის თბოსადგური" (სს საპარტნიორო	ჩალიკ ენერჯი (ÇALIK ENERJİ SANAYİ VE TİCARET A.Ş)	გარდაბანში 230 მეგავატი სიმძლავრის კომბინირებული ციკლის

[35]CMR120160311.

[36] წინადადება შესწორებულია.

[37]CMR130100928. იხილეთ კონტრაქტი: http://bit.ly/Artesi-1 (სანახავად საიტზე – tenders.procurement.gov.ge რეგისტრაცია აუცილებელია). კონტრაქტის გაფორმების დროს კომპანია ეკუთვნოდათ: მალხაზ ალავიძეს (აშშ, 40%), რამაზ ბერძენიშვილს (35%) და გიორგი კიკალიშვილს (25%), https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=561774&app_id=639075; http://www.messenger.com.ge/issues/2912_july_26_2013/2912_edit.html; http://1tv.ge/news-view/54919; http://dfwatch.net/georgian-olympic-committee-chair-charged-with-embezzlement-30752.

[38] ანგარიშის წინა ვერსიაში შეტანილი იყო „მაგთიკომთან“ გაფორმებული პირდაპირი კონტრაქტი. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული შესყიდვა კონკურენტული პროცედურების გავლით განხორციელდა, რის გამოც იგი ამოღებულ იქნა ცხრილიდან.

	ფონდის შვილობილი)	(თურქეთი)	თბოელექტროსადგურის მშენებლობა [39]
21,120,000 ლარი	შპს "ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანია"	შპს „არტესი"	თბილისში ათონელის 25–ში მდებარე შენობის ახალ საპრეზიდენტო რეზიდენციად გადაქცევა. „არტესთან" კონტრაქტი სექტემბერში გაუქმდა.[40]
7,865,654 აშშ დოლარი	საქართველოს პარლამენტის აპარატი	Sony Professional Solutions MEA FZ LLC (არაბთა გაერთიანებული საამიროები)	კენჭისყრის, ტელესაკონფერენციო და სამაუწყებლო სისტემები (UPS–ისა და კონდიციონერების ჩათვლით) და თბილისში პარლამენტის შენობის აღდგენითი სამუშაოები [41]
9,299,167 ლარი	სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"	სპს გაერთიანებული ქართული სტამბა - ფავორიტი პრინტი & მვპ	20 დღით ადრე შექმნილ 4 საგამომცემლო კომპანიის გაერთიანებას კონტრაქტი 4 მილიონი სასკოლო სახელმძღვანელოსი და რვეულის ბეჭდვაზე გაუფორმდა. [42]
9,180,102 ლარი	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	შპს „ზიმო"[43]	ფოთის მალთაყვის უბანში დევნილებისთვის 5 სართულიანი 7 შენობისგან შემდგარი საცხოვრებელი უბნის მშენებლობა [44]
7,622,134 აშშ დოლარი	სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"	Schweitzer Engineering Laboratories, Inc. (აშშ)	4.5 წლიანი კონტრაქტი 10 ელექტრო ქვესადგურის რეაბილიტაციისთვის საჭირო

[39]CMR130327893, კონტრაქტის მონაცემების ნახვა ადრე ინტერნეტში შეიძლებოდა, ამჟამად ისინი ხელმისაწვდომი არ არის. თავდაპირველი შეთანხმება საპარტნიორო ფონდსა და „ჩალიკს" შორის 2012 წლის აგვისტოში გაფორმდა, რის შემდეგაც პროექტი დროებით გადაიდო. კონტრაქტი ძალაში 2013 წლის ოქტომბერში შევიდა. შეთანხმების მიხედვით, საპარტნიორო ფონდი პროექტში 213,379,684 აშშ დოლარს ჩადებს. https://tenders.procurement.gov.ge/engine/ssp/document.php?code=/prod/disk005/2013/10/31/fa1dc8afbcb4156708d5a32e3831a024-551147&mime=application/pdf&save=%20~%20Addendum_Agreement_2013.10.08[1]_page[1-20].pdf.

[40] CMR130100928.

[41]CMR130336376.

[42]CMR130075614. დამფუძნებლები არიან კომპანიები: „ფავორიტი პრინტი", „ფორმა", „სეზანი" და „მვპ", https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=520720&app_id=597911.

[43]სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ „ზიმო" სანდო კომპანიების თეთრ სიაში შეიყვანა, რაც მათ შეღავათიანი პირობებით სარგებლობის უფლებას აძლევს. http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=62&info_id=1377.

[44]CMR130117059.

			მასალისა და დამხმარე მომსახურების მიწოდებაზე [45]
6,815,286 ლარი	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	შპს „ცეკური“	ქუთაისი–წყალტუბო–ცაგერი–ლენტეხი–ლასდილი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (იგივე პროექტზე კომპანია „სანისთან“ დადებული ხელშეკრულება 2012 წლის აგვისტოში გაუქმდა) [46]
6,741,180 ლარი	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	შპა „ზიმო“	ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურის ციხემდე მისაყვანი წყალსადენისა და წყალარინების სისტემის მშენებლობა [47]
4,000,000 ლარი	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	შპს „იბერია-ჯ“	ბათუმი–ახალციხის საავტომობილო გზის ბათუმი–ხულოს მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები [48]
3,150,200 ლარი	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	შპს „ინგლისური წიგნი საქართველოში“	ბრიტანული გამომცემლობების მიერ გამოცემული ინგლისური ენის სასწავლო სასკოლო სახელმძღვანელოების მიწოდება [49]

შემოწირულობები კონტრაქტებისთვის, თუ კონტრაქტები შემოწირულობებისთვის? კორელაცია პოლიტიკურ შემოწირულობებსა და პირდაპირი წესით გაფორმებულ კონტრაქტებს შორის

სახელმწიფო კონტრაქტების პირდაპირი წესით გაფორმება კორუფციის მნიშვნელოვან რისკებსა და შესაძლებლობებს აჩენს, განსაკუთებით კი მაშინ, როდესაც საქმე პოლიტიკურ

[45]CMR130091547.
[46]CMR130298676.
[47]CMR130312997.
[48]CMR130308022.
[49]CMR130080336.

შემოწირულობებს ეხება. სისტემიდან უკანონო სარგებლის მიღების ერთ-ერთი შესაძლო მეთოდია უკანგორების სქემა (ე.წ. „ატკატი“, kickback payment), რაც იმას გულისხმობს, რომ კომპანია, რომელთანაც კონტრაქტი ფორმდება, კონტრაქტით მიღებული სახელმწიფო სახსრების ნაწილს საჯარო მოხელეს ან პოლიტიკურ პარტიას უბრუნებს. პირები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ისეთ კომპანიებთან, რომლებიც სახელმწიფოსგან არაკონკურენტული კონტრაქტების მიღებისგან დიდ სარგებელს ნახულობენ, შესაძლოა უფრო ადვილად დათანხმდნენ მმართველი პარტიის მხრიდან წამოსულ შემოწირულობის თხოვნებს, რადგან მათ ინტერესშია შეინარჩუნონ ის ხელისუფლება, რომელიც მათ კომპანიას კონტრაქტებს პირდაპირი წესით მომავალშიც გაუფორმებს.

კორუფციის რისკი კიდევ უფრო იზრდება იმ ვითარებაში, როდესაც კონტრაქტები, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს პირდაპირი შესყიდვები, გასაიდუმლოებულია და არ ექვემდებარება საჯარო განხილვას.

იმის დასადგენად, იყო თუ არა მნიშვნელოვანი კორელაცია კომპანიის მიერ არაკონკურენტული კონტრაქტის მიღებასა და ამ კომპანიის ან მასთან დაკავშირებული პირების მიერ მმართველი პარტიისთვის შემოწირულობის გადარიცხვას შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ჯერ შეადგინა იმ კომპანიებთან დაკავშირებულ პირთა სია, რომლებთანაც 2010 წლის დეკემბრიდან 2013 წლის აგვისტომდე სახელმწიფომ მინიმუმ ერთი პირდაპირი კონტრაქტი გააფორმა, ხოლო შემდეგ, აღნიშნული პირებისა და კომპანიების სიები შეადარა პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა სიებს, რომლებსაც სახელმწიფო აუდიტის სამსახური აწარმოებს (2012 წლის დასაწყისიდან, იურიდიულ პირებს პოლიტიკური პარტიებისთვის შემოწირულობების გადაცემა აეკრძალათ).[50]

2012 წელს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 6.6 მილიონი ლარის შემოწირულობა ისეთი ინდივიდებისგან მიიღო, რომლებიც, საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, კავშირი ჰქონდათ პირდაპირი კონტრაქტების მიმღებ კომპანიებთან. აღნიშნულმა კომპანიებმა იმავე წელს პირდაპირი კონტრაქტების სახით მთლიანობაში 160 მილიონ ლარზე მეტი მიიღეს (2011 წელს იგივე მაჩვენებელი 110 მილიონი ლარი იყო).

19 ასეთი შემოწირულობა, მთლიანი მოცულობით 545,000 ლარი, მიიღო „ნაციონალური მოძრაობის“ 2012 წლის საარჩევნო კამპანიაში მონაწილე ჯგუფმა – „საქართველო არ იყიდება“. აღნიშნულმა კომპანიებმა 2011–2012 წლებში სახელმწიფოსთან მთლიანობაში 71.3 მილიონი ლარის ღირებულების არაკონკურენტული კონტრაქტები გააფორმეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ პირს აქვს - და უნდა ჰქონდეს - უფლება, შემოწირულობის გადაცემით მხარი დაუჭიროს ნებისმიერ პარტიას, თუმცა იმ შემთხვევათა დიდი რაოდენობა, როდესაც პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტების ბენეფიციარები 2010-2012

[50] იხ: http://sao.gov.ge.

წლებში მმართველ „ნაციონალურ მოძრაობას“ შემოწირულობებს გადასცემდნენ, მიუთითებს კორუფციის მნიშვნელოვანი რისკის არსებობაზე.

იმ კომპანიებიდან, რომლებმაც 2010 წელს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ იურიდიული პირის სტატუსით შემოწირულობა გადასცეს, თითქმის ყველას გაუფორმდა პირდაპირი კონტრაქტები (პრეზიდენტის ან/და მთავრობის თანხმობის საფუძველზე). ანალოგიურად, 2011 წელს (არასაარჩევნო წელი) „ნაციონალური მოძრაობისთვის“ შემწირველი კომპანიებიდან 11–ს გაუფორმდა მსხვილი კონტრაქტები გამარტივებული შესყიდვის წესით.

რამდენიმე შემთხვევაში კომპანიებმა „ნაციონალურ მოძრაობას“ შემოწირულობა გადასცეს მსხვილი კონტრაქტის პირდაპირი წესით გაფორმებიდან სულ რამდენიმე დღეში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ 2012 წლის პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კვლევამ გამოავლინა, რომ პარტიების დაფინანსების ყველაზე დიდი წილი ბიზნესმენებზე მოდის. კვლევის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ 989 შემომწირველიდან მხოლოდ 397 პირს ჰქონდა კავშირი (მეწილე, თანამდებობა) რეგისტრირებულ კომპანიებთან, მათზე მმართველი პარტიის მთლიანი შემოწირულობის (11,429,023 ლარი) 89 პროცენტი (9,898,000 ლარი) მოდიოდა.[51]

ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე ისეთი შემთხვევის მოკლე აღწერას, რომელშიც მსხვილ პოლიტიკურ შემოწირულობებსა და გაფორმებულ კონტრაქტებს შორის მნიშვნელოვანი კორელაციის არსებობა დადგინდა. ქვემოთ მოცემულ სიაში აქცენტი კეთდება მსხვილ და ბოლოდროინდელ შემოწირულობებზე და მოიცავს მთლიანი შემთხვევების მხოლოდ მცირე ნაწილს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველები

- სევერიან სააკაშვილმა, რომელიც შპს **„არგოს“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 417874544) დირექტორია, 2012 წლის 14 აგვისტოს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 60,000 ლარის შემოწირულობა გადასცა. ერთი დღით ადრე, გორის მუნიციპალიტეტმა შპს „არგოსთან“ 229,960 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა. ედვარდ ხაჩიშვილს, რომელიც კომპანიის 25%-იანი წილის მფლობელია, 1 აგვისტოს პარტიისთვის უკვე გადარიცხული ჰქონდა 60,000 ლარი; იმავე დღეს, ჯემალ ჟინიაშვილმა, რომელიც ასევე კომპანიის 25%-იანი წილის მფლობელია, პარტიას

[51] დეტალური ინფორმაციისთვის იხ: „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ (2013): „პოლიტიკური პარტიების დაფინანსება 2012 წელს“, http://transparency.ge/en/node/2948.

46,000 ლარი გადასცა. ივნისში, კიდევ ერთმა კომპანიამ, რომელსაც ხაჩიშვილი მართავს, შპს **„აგროტერმინალმა“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 217891084), სახელმწიფოსთან 89,584 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა.[52]

- რომან აბრამიშვილმა, რომელიც კომპანია **„გეო ბილდ გრუპის“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 424066101) დირექტორია, 2012 წლის 14 აგვისტოს „ნაციონალურ მოძრაობას“ 7,000 ლარის შემოწირულობა გადასცა. მისმა კომპანიამ 21 ივნისს პრეზიდენტის/მთავრობის თანხმობის საფუძველზე სახელმწიფოსთან 110,000 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა.
- შპს **„ხინოს“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 445385495) ყოფილმა მეწილემ, ენდარ თავდგირიძემ 2012 წლის 20 ივნისს „ნაციონალურ მოძრაობას“ 38,000 ლარის შემოწირულობა გადასცა; კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელმა, ციური დავითაძემ (აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ასლან თავდგირიძის (2008 – 2012) ცოლი) ერთი დღის შემდეგ პარტიას 32,000 ლარის შემოწირულობა გადასცა. „ხინომ“ სახელმწიფოსთან გასული 3 წლის მანძილზე 5.5 მილიონი ლარის ღირებულების პირდაპირი კონტრაქტები გააფორმა.
- ვახტანგ ედილაშვილმა, რომელმაც სს **„ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 202161098) დაარეგისტრირა, „ნაციონალურ მოძრაობას“ 2012 წლის 1 აგვისტოს 60,000 ლარის შემოწირულობა გადასცა; „ვისოლის“ გენერალურმა დირექტორმა, ვასილ ხორავამ იმავე დღეს პარტიას 20,000 ლარი გადასცა. 2011-2012 წლებში, „ვისოლმა“ სახელმწიფოსთან, პრეზიდენტის/მთავრობის თანხმობის საფუძველზე, 25 მსხვილი კონტრაქტი გააფორმა, რომელთა საერთო ღირებულება 1.74 მილიონ ლარს აღემატებოდა.
- გიორგი ინგოროყვამ, რომელიც შპს **„მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკის“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 211385767) დირექტორია, 2012 წლის 3 ივნისს „ნაციონალურ მოძრაობას“ 12,000 ლარის შემოწირულობა გადასცა; აღნიშნული კომპანიის წარმომადგენელმა, დავით ბანცაძემ, იმავე დღეს პარტიას 16,000 ლარის შემოწირულობა გადასცა. ერთი კვირით ადრე კომპანიამ სახელმწიფოსთან პირდაპირი წესით 2 კონტრაქტი გააფორმა, რომელთა საერთო ღირებულება 68,000 ლარს შეადგენდა.[53] 2011 წლის განმავლობაში, კომპანიამ სახელმწიფოსთან რამდენიმე პირდაპირი კონტრაქტი გააფორმა, რომელთა საერთო ღირებულება 1.5 მილიონ ლარს აღემატებოდა.
- გრიგოლ ჩიქოვანმა, რომელიც სს **„ხიდმშენის“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 204379886) გენერალური დირექტორია, 2012 წლის 19 ივნისს პარტიას 20,000 ლარის შემოწირულობა გადასცა. სამი კვირის შემდეგ კომპანიამ სახელმწიფოსთან პირდაპირი წესით 178,142 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა.
- გულუხვობა გამოიჩინეს შპს **„ალტას“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 211380691) მფლობელებმა: ზურაბ ტაბიძემ, ლევან ნიკოლაიშვილმა, გრიგოლ ნიკოლაიშვილმა და ირაკლი კაკაბაძემ, რომლებმაც „ნაციონალურ მოძრაობას“ ოთხი დღის მანძილზე

[52] CMR120242899.

[53] CMR120212381 და CMR120212384.

ცალ–ცალკე გადასცეს შემოწირულობა, მთლიანი მოცულობით 140,000 ლარი. შემოწირულობების გადაცემიდან ერთი თვის შემდეგ კომპანიამ სახელმწიფოსთან ორი პირდაპირი კონტრაქტი გააფორმა, რომელთა მთლიანი ღირებულება 1.3 მილიონი ლარი იყო. [54]

- სამშენებლო კომპანია **„ბლოკ-ჯორჯიამ“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 211362461) თავისი ერთადერთი სახელმწიფო კონტრაქტი პრეზიდენტის/მთავრობის თანხმობის დებულების საფუძველზე მიიღო. კონტრაქტი 2012 წლის აგვისტოში გაფორმდა და იგი 1.7 მილიონი ლარი ღირდა.[55] ერთი კვირის შემდეგ კომპანიის გენერალურმა დირექტორმა, მამუკა ჯანაშვილმა „ნაციონალურ მოძრაობას“ 60,000 ლარის შემოწირულობა გადასცა.
- შპს **„გუტიძე დამენია ჩანტლაძე სოლუშენსის“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 205268271) სამივე მფლობელმა - კახაბერ დამენიამ (ეკონომიკის მინისტრის მოადგილე 2005 – 2008 წლებში), იზაბელა გუტიძემ და დავით ჩანტლაძემ (2007–2008 წლებში გარემოს დაცვის მინისტრი; პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე 2009 წლამდე) 2012 წლის 29 მაისს „ნაციონალურ მოძრაობას“ თითომ 60,000 ლარის შემოწირულობა გადასცა.[56] 2011 წლის აგვისტოში კომპანიამ სახელმწიფოსთან 270,000 ლარის ღირებულების 4-თვიანი კონტრაქტი (CMR 120046770) გააფორმა, რომელიც იურიდიული მომსახურების გაწევას ითვალისწინებდა.
- შპს **„ფერის“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 211352187) დირექტორმა და 70%-იანი წილის მფლობელმა, იოსებ მჭედლიშვილმა 2012 წლის ივნისში „ნაციონალურ მოძრაობას“ 60,000 ლარის შემოწირულობა გადასცა. რამდენიმე კვირით ადრე კომპანიამ სახელმწიფოსთან 9.8 მილიონი ლარის ღირებულების პირდაპირი სამშენებლო კონტრაქტი გააფორმა.

„საქართველო არ იყიდება“–ს შემომწირველები

„საქართველო არ იყიდება“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს საარჩევნო კამპანიის წარმმართველი კომპანია იყო, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ და ბიძინა ივანიშვილის მიმართ კრიტიკულ პოლიტიკურ რეკლამებს უშვებდა.

- შპს **„ფიროსმანმა“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 245423956) სახელმწიფოსთან 2011-2012 წლებში 9 არაკონკურენტული კონტრაქტი გააფორმა, რომელთა საერთო ღირებულებამ 3.9 მილიონი ლარი შეადგინა. მისმა ორმა მფლობელმა, თამაზ

[54]CMR120250801 და CMR120250785.
[55] CMR120239247.
[56] http://www.solutions.ge/en/our_team/.

გორგილაძემ და რევაზ არძენაძემ, ერთსა და იმავე დღეს, 2012 წლის 31 აგვისტოს, კამპანიას „საქართველო არ იყიდება“ 50,000 ლარის შემოწირულობა გადასცეს. სამი დღის შემდეგ შპს „ფიროსმანის“ დირექტორმა და მესამე მეწილემ, მერაბ ბერიძემ კამპანიას 60,000 ლარის შემოწირულობა გადასცა. 2010 წელს, „ფიროსმანმა“ „ნაციონალურ მოძრაობას“ 100,000 ლარის შემოწირულობა გადასცა.

- შპს **„ანაგმა“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 245416401) 2011-2012 წლებში სახელმწიფოსთან გამარტივებული შესყიდვის წესით 59.2 მილიონი ლარის მთლიანი ღირებულების 35 კონტრაქტი გააფორმა. აქედან, ხუთი კონტრაქტი კომპანიის წარმომადგენლების მიერ პოლიტიკური შემოწირულობების გადაცემიდან ერთი თვის ვადაში გაფორმდა. 2012 წლის 31 აგვისტოს, „ანაგთან“ დაკავშირებულმა რამდენიმე პირმა კამპანიას „საქართველო არ იყიდება“ შემოწირულობა გადასცა: „ანაგის“ მფლობელმა ნანა აროშიძემ კამპანიას 60,000 ლარის შემოწირულობა გადასცა; ირაკლი გოგოლიშვილმა, რომელიც კომპანიის დირექტორად მუშაობდა, 9,000 ლარის შემოწირულობა გაიღო; “ანაგის“ ყოფილმა დირექტორმა სოსო დიასამიძემ კი კამპანიას 5,000 ლარის შემოწირულობა გადაურიცხა. ერთი დღით ადრე, დავით ბალაძემ, რომელმაც კომპანია დაარეგისტრირა, ასევე 4,000 ლარის შემოწირულობა გაიღო.
- 2012 წლის 31 აგვისტოს, კამპანიამ „საქართველო არ იყიდება“ 60,000 ლარის შემოწირულობა მიიღო იბრაიმ შალიკაძისგან, რომელიც შპს **„ანაგი თბილისის“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 400034388) 80%-იანი წილის მფლობელია. კომპანიის დირექტორმა, დავით ჩანტლაძემ ამავე ორგანიზაციას ერთი დღით ადრე 2,000 ლარის შემოწირულობა გადასცა; დავით შალიკაძემ, რომელიც კომპანიის 10%-იანი წილის მფლობელია, კამპანიას 5,000 ლარის შემოწირულობა გადასცა; დავით კვაჭაძემ კი, რომელიც კომპანიის დანარჩენ 10%-იან წილს ფლობს, 3,600 ლარის შემოწირულობა გაიღო. 2012 წელს „ანაგი თბილისმა“ სახელმწიფოსთან პირდაპირი წესით 7 კონტრაქტი გააფორმა, რომელთა მთლიანმა ღირებულებამ 7.88 მილიონი ლარი შეადგინა.
- კამპანიის „საქართველო არ იყიდება“ კიდევ ერთი შემომწირველი იყო თინათინ ნიჟარაძე, რომელმაც ასევე 60,000 ლარი გაიღო. ნიჟარაძის კომპანია შპს **„ფართი ჰაუსმა“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 404855965), რომელსაც ის სრულად ფლობს და მართავს, შემოწირულობის გაღებიდან რამდენიმე კვირაში სახელმწიფოსთან 144,000 ლარის ღირებულების პირდაპირი კონტრაქტი გააფორმა. 2012 წლის განმავლობაში კომპანიას 10 პირდაპირი კონტრაქტი გაუფორმდა, რომელთა მთლიანი ღირებულება 348,000 ლარი იყო.

„ქართული ოცნების“ შემომწირველები

2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის „ქართულმა ოცნებამ“ 130–ზე მეტი შემოწირულობა მიიღო ისეთი ინდივიდებისგან, რომლებსაც კავშირი

აქვთ პირდაპირი სახელმწიფო კონტრაქტების მიმღებ კომპანიებთან. მიუხედავად ამისა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დაადგინა, რომ, უმეტეს შემთხვევაში, მთავრობის ცვლილების შემდეგ ამ კომპანიებს მსხვილი პირდაპირი სახელმწიფო კონტრაქტები არ მიუღიათ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტების გარშემო კორუფციის რისკები, მაგალითად, მმართველი პარტიისთვის ფულის „უკანგორებით“ გადარიცხული, აღარ არსებობს.

- ქართულ ოცნებას შპს „ელიტა ბურჯის“ გენერალურმა დირექტორმა თენგიზ გვაზავამ 2012 წლის დეკემბერში 50,000 ლარი შესწირა. „ელიტა ბურჯის“ ოფიციალური მფლობელი კომპანია „რინგოლდ ფაინენსია“, რომელიც ოფშორში - ვირჯინიის კუნძულებზეა რეგისტრირებული. ეს კომპანია (თავისი შვილობილი ფირმის - „ჰორიზონტის“ გავლით) ასევე ფლობს იმ მიწის ნაწილს, რომელზეც ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრია განთავსებული. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ივანიშვილი „ელიტა ბურჯის“ ბენეფიციარი მფლობელი იყო. „ელიტა ბურჯმა“ 2013 წელს შსს-სგან 84,439 ლარის ღირებულების (ავეჯის მიწოდება) რამდენიმე პირდაპირი კონტრაქტი მიიღო.[57]
- ასმათ სირბილაძემ, რომელიც რამდენიმე კომპანიის, მათ შორის შპს **„ბიუროსიტისა“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 204575414) და შპს **„სმაილის“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 205289105) იურიდიული წარმომადგენელია, 2013 წლის აგვისტოში „ქართულ ოცნებას“ 20,000 ლარის შემოწირულობა გადასცა. „ბიუროსიტის“ 2013 წლის ივნისში ავეჯის მიწოდების 34,000 ლარის ღირებულების კონტრაქტი პრეზიდენტის/მთავრობის თანხმობის საფუძველზე გაუფორმდა.[58] „სმაილმა“ სახელმწიფოსთან პირდაპირი წესით რამდენიმე კონტრაქტი გააფორმა. მათ შორის იყო 2013 წლის ივნისში გაფორმებული 66,000 ლარის ღირებულების კონტრაქტი, რომელიც ლეპტოპების მიწოდებას ითვალისწინებდა.[59]

კავშირები საჯარო მოხელეებსა და პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტების ბენეფიციარ კომპანიებს შორის

მსხვილი სახელმწიფო შესყიდვები, რომლებიც კომპანიებთან პირდაპირი წესით და კონკურენტული პროცედურების გარეშე გაფორმებული კონტრაქტების მეშვეობით ხორციელდება, ფინანსური სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის, ნეპოტიზმისა და კორუფციის რისკებს ზრდის. აღნიშნული კონტრაქტები ყოველგვარი საზოგადოებრივი კონტროლის მიღმა იყო დარჩენილი 2013 წლის გაზაფხულზე, როდესაც კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ბოლო ორნახევარი წლის განმავლობაში (2010 წლის დეკემბრიდან მოყოლებული) პირდაპირი წესით დადებული გარიგებების შესახებ

[57] იხ.: http://transparency.ge/blog/politikuri-partiebis-shemotsirulobebi-2012-tslis-saparlamento-archevnebis-shemdeg.
[58]CMR130100924.
[59] CMR130113498.

ინფორმაციის ინტერნეტში გამოქვეყნება დაიწყო. ბევრ ქვემოთ აღწერილ შემთხვევაში, კონტრაქტები, მთავრობის ან პრეზიდენტის მიერ გამოცემული განკარგულების საფუძველზე, პირდაპირი წესით ფორმდებოდა. განკარგულების გარეშე კონტრაქტი საჯარო ტენდერის გზით გაუფორმდებოდა ყველაზე დაბალი ფასის შემომთავაზებელ პრეტენდენტს.

იმის დასადგენად, მიიღეს თუ არა საჯარო მოხელეებმა, ან მათმა ოჯახის წევრებმა, პირადი სარგებელი პირდაპირი წესით გაფორმებული სახელმწიფო კონტრაქტებიდან და არსებობდა თუ არა ინტერესთა კონფლიქტი მათთან მიმართებაში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გააანალიზა პირდაპირი წესით დადებული ყველა კონტრაქტი, სულ 436,525 შესყიდვა, რომელიც სახელმწიფო უწყებებმა 2010 წლის დეკემბრიდან 2013 წლის სექტემბრამდე გააფორმეს.[60] შემდეგ ჩვენ გამოვავლინეთ იმ პირთა ვინაობა, ვისაც საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე კავშირი ჰქონდა (იყო რეგისტრატორი, ოფიციალური წარმომადგენელი ან ადვოკატი, მეწილე ან დირექტორი) იმ კომპანიებთან, რომლებსაც გაუფორმდათ კონტრაქტები. ამ მონაცემების მისაღებად, ჩვენ ამოვკრიფეთ მონაცემები საქართველოს საჯარო რეესტრის ასობით ათასი PDF ფორმატის ფაილიდან და შევქმენით საქართველოს სამეწარმეო რეესტრის ასლი, რომელიც ძიების სრულყოფილი ფუნქციით არის აღჭურვილი.[61] ამის შემდეგ, ზემოთაღნიშნული პირების მონაცემები შევადარეთ იმ საჯარო მოხელეთა (და მათ ოჯახის წევრთა) მონაცემებს, რომლებსაც შევსებული აქვთ ან ნახსენები არიან საჯარო მოხელეთა ქონებრივ დეკლარაციებში. აღნიშნულ მონაცემთა დასამუშავებლად ჩვენ კიდევ ერთი საძიებო ბაზა შევქმენით.[62]

- ჩვენ დავადგინეთ, რომ მთელი რიგი კომპანიები, რომლებმაც სახელმწიფოსთან პირდაპირი წესით მსხვილი კონტრაქტები გააფორმეს, საჯარო მოხელეებს ან მათი ოჯახის წევრებს ეკუთვნოდა. რამდენიმე შემთხვევაში, საჯარო მოხელეებმა ქონებრივ დეკლარაციაში არ მიუთითეს კავშირი აღნიშნულ კომპანიებთან, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემები ამ კავშირს ნათლად ასახავს.
- მთელ რიგ შემთხვევებში, აღინიშნება აშკარა ინტერესთა კონფლიქტი საჯარო მოხელის თანამდებობასა და მისი სახელმწიფო უწყების მიერ გაფორმებულ კონტრაქტებს შორის, რადგან შედეგად სწორედ საჯარო მოხელესთან კავშირის მქონე კომპანია ნახულობდა სარგებელს.

[60] გთხოვთ გაითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ინფორმაცია შესაძლოა სრული არ იყოს, რადგან ზოგიერთი კონტრაქტის შესახებ მონაცემები შესაძლოა ჯერ არ იყოს შეყვანილი მონაცემთა ბაზაში შესაბამისი შემსყიდველი სახელმწიფო უწყების მიერ. მონაცემები ასევე არ შეიცავს გრიფით საიდუმლო კონტრაქტებს (მაგალითად, ეროვნული უშიშროების საბჭოს ყველა და შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების შესყიდვების ნაწილი) და იმ უწყებების შესყიდვებს, რომლებსაც შესყიდვების წესები არ ეხებათ (მაგალითად, საპრეზიდენტო და სამთავრობო სარეზერვო ფონდები და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ზოგიერთი კომპანია). მონაცემები არ შეიცავს კონკურენტული, ელექტრონული ტენდერების შედეგად გაფორმებულ კონტრაქტებს, მონაცემთა ეს ბაზა ხელმისაწვდომია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე http://tendermonitor.ge და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე – http://tenders.procurement.gov.ge.

[61] იხ: http://corpsearch.tigeorgia.webfactional.com/ka/.

[62] იხ: https://declaration.gov.ge.

- ბევრი პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტი, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ, მსხვილ სამშენებლო პროექტებს უკავშირდება. ამ სფეროში შესყიდვების კონკურენტული ელექტრონული პროცედურებისთვის თავის არიდება ეჭვის საფუძველს იძლევა.
- ჩვენ დავაფიქსირეთ რამდენიმე ისეთი შემთხვევა, როდესაც აჭარის რეგიონის საჯარო მოხელეების მიერ კონტრაქტების გაფორმების მეთოდი დიდი ალბათობით ნეპოტიზმის არსებობაზე მიუთითებდა.
- რამდენიმე შემთხვევაში, პარლამენტის ახლანდელი ან ყოფილი წევრების საკუთრებაში არსებულმა კომპანიებმა მსხვილი არაკონკურენტული კონტრაქტები გააფორმეს. ჩვენ ეს კონტრაქტები ანგარიშში შევიტანეთ, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა პირდაპირი ინტერესთა კონფლიქტი, რადგან მიგვაჩნია, რომ საზოგადოება არჩეული საჯარო მოხელეების ბიზნეს საქმიანობის შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს.

ცეზარ ჩოჩელი – მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუბერნატორი 2008 წლიდან 2012 წლის ნოემბრამდე. ფინანსთა სამინისტროს გამომძიებლებმა მას ბრალად წაუყენეს თანამდებობაზე ყოფნის დროს ფულის გათეთრება და კომპანია **„ნიუ ენერჯის“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 205026559) მართვა და კონტროლი. „ნიუ ენერჯიმ“ 2011 წლიდან 2012 წლის შემოდგომამდე სახელმწიფოსთან პირდაპირი წესით 29 კონტრაქტი გააფორმა, რომელთა მთლიანმა ღირებულებამ 69.9 მილიონი ლარი შეადგინა. ყველაზე მსხვილი, 44.45 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტი, რომელიც ელექტროგადამცემ ხაზებზე დამხმარე სამუშაოების ჩატარებას ითვალისწინებდა, კომპანიამ 2011 წლის ოქტომბერში „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან“ გააფორმა.[63] ჩოჩელი ორივე ბრალდებას უარყოფს.[64]

სამშენებლო კომპანია შპს **„ანაგს“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 245416401) ფლობს ნანა აროშიძე, რომელიც 2008-2012 წლების მოწვევის აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, **ზაზა გოგოტიშვილის** მეუღლეა. 2011-2012 წლებში კომპანიამ სახელმწიფოსთან 36 არაკონკურენტული კონტრაქტი გააფორმა, რომელთა საერთო ღირებულება 59,2 მილიონ ლარი იყო; აქედან, 21 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტი „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან“, 9.84 მილიონი ლარის კონტრაქტი ბათუმი მერიასთან და 10 მილიონი ლარის კონტრაქტი აჭარის სპორტის, კულტურისა და განათლების სამინისტროსთან იმ პერიოდში გაფორმდა, როცა გოგოტიშვილი უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო. შეგახსენებთ, რომ უმაღლესი საბჭოს ფუნქცია აჭარის მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფაა. „ანაგის“ შვილობილმა კომპანია შპს **„ლუგომ“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 245546681) „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიასთან“ სამი სამშენებლო კონტრაქტი გააფორმა, რომელთა მთლიანი ღირებულება 255,400 ლარს შეადგენდა (კომპანიამ 5000 ლარზე ნაკლები ღირებულების

[63] http://bit.ly/NewEnergy-1.
[64] http://www.civil.ge/geo/article.php?id=26482.

კიდევ 6 კონტრაქტი გააფორმა).[65] ხელისუფლების შეცვლის შემდეგ არც „ანაგს“ და არც „ლუგოს“ სახელმწიფოსთან პირდაპირი წესით კონტრაქტები აღარ გაუფორმებია. ზაზა გოგოტიშვილმა საკუთარ ქონებრივ დეკლარაციაში მიუთითა, რომ მისმა მეუღლემ 2011 წელს კომპანია „ანაგიდან“ 1,067,793 ლარის შემოსავალი მიიღო.[66]

გიორგი რურუა (2008-2012 წლებში კულტურის მინისტრ ნიკა რურუას ძმა) დაკავშირებულია ორ კომპანიასთან, რომელმაც სახელმწიფოსთან პირდაპირი წესით დიდი მოცულობის კონტრაქტები გააფორმეს. შპს **„ჯეოვიამ“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 205274601), 2011 წლის აპრილში სახელმწიფოსთან 1.479 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა, რომელიც ელექტრო მოწყობილობების მიწოდებას ითვალისწინებდა, 2011 წლის მაისში კი ავტოსაგზაო გვირაბის ასაშენებლად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან 517,705 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა.[67] გიორგი რურუა „ჯეოვიას“ 25%-იანი წილის მფლობელია.[68] ყოფილმა მინისტრმა ნიკა რურუამ, რომელიც ძმასთან ერთად ერთ ოჯახში ცხოვრობს, გიორგი რურუას კომპანიაში არსებული წილისა და მის მიერ 2011 წელს „ჯეოვიადან“ 80,676 ლარის შემოსავლის მიღების შესახებ საკუთარ ქონებრივ დეკლარაციაში მიუთითა.[69]

კომპანიამ **„ორი წუთი“** ბოლო ორი წლის განმავლობაში სახელმწიფოსთან 22 პირდაპირი კონტრაქტი გააფორმა, რომელთაგან უმეტესობის ღირებულება 5000 ლარზე ნაკლები იყო. მაღალი ღირებულების კონტრაქტი სულ სამი იყო, მათ შორის 2012 წლის აპრილში „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდთან“ გაფორმებული 700,000 ლარის ღირებულების კონტრაქტი, რომელიც სარესტორნო და საკვები პროდუქტების ადგილზე მიტანის სერვისების მიწოდებას ითვალისწინებდა.[70] 2011 წლის იანვრამდე კომპანიის 50%-იან წილს **გიორგი რურუა** ფლობდა, მოგვიანებით კი კომპანიის ბენეფიციარი მეწილე პარლამენტარ **არჩილ გეგენავას** (2008-2012 წლები, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) ძმა, ანდრო გეგენავა გახდა (მისი კუთვნილი შპს Holding.ge-ს მეშვეობით).[71] 2012 წლის მარტში, ზემოაღნიშნული მსხვილი კონტრაქტის გაფორმებამდე ერთი თვით ადრე, კომპანიის 100 პროცენტიანი მფლობელი მოქალაქე გიორგი კორახაშვილი გახდა.[72]

სამშენებლო კომპანიამ **„მენო ინტერნეიშნლმა“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 208213084) 2011-2012 წლებში სახელმწიფოსთან პირდაპირი წესით 18 მსხვილი კონტრაქტი გააფორმა, რომელთა მთლიანი ღირებულება 36.9 მილიონი ლარი იყო.[73] კომპანიის 33%-იან წილს **ირაკლი ჩიქოვანი** ფლობს, რომელიც 2009 წლიდან 2013 წლის გაზაფხულამდე საქართველოს

[65] http://corpsearch.tigeorgia.webfactional.com/en/corporations/2141121/, http://bit.ly/lugo-1, http://bit.ly/lugo-2.
[66] https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=5649.
[67] კონტრაქტები: http://bit.ly/Geovia-1, http://bit.ly/Geovia-2.
[68] http://corpsearch.tigeorgia.webfactional.com/en/corporations/2110964/.
[69] https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=6872.
[70] http://corpsearch.tigeorgia.webfactional.com/en/corporations/2111828/, http://bit.ly/02Min-1.
[71] http://transparency.ge/blog/sazogadoebrivi-sakutrebidan-politikosis-sakutrebashi-erti-nakvetis-istoria-kus-tbis-gzaze.
[72] http://corpsearch.tigeorgia.webfactional.com/en/people/2554175/.
[73] http://corpsearch.tigeorgia.webfactional.com/en/corporations/2159525/.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე იყო. ჩიქოვანი კიდევ ერთი კომპანიის, **„მაგი სტილის“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 208149895) მეწილეა, რომელმაც სახელმწიფოსთან პირდაპირი წესით 31 (5000 ლარზე მეტი ღირებულების) კონტრაქტი გააფორმა. მათი მთლიანი ღირებულება 1.08 მილიონი ლარი იყო.[74] ჩიქოვანმა გასულ წლებში ორივე კომპანიის ფლობისა და მათგან მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღების შესახებ საკუთარ ქონებრივ დეკლარაციებში მიუთითა: „მენო ინტერნეიშნლიდან“ – 928,000 ლარი, ხოლო „მაგი სტილიდან“ – 181,000 ლარი (2011 და 2012 წლების დეკლარაციების გაერთიანებული მონაცემები).[75]

კასპში ბაზირებულ კომპანია შპს **„ლებეს“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 232559718) კასპის მუნიციპალიტეტმა მთლიანობაში 12 პირდაპირი კონტრაქტი გაუფორმა. 2012 წლის ნოემბერში კასპის საკრებულოს ერთ–ერთი კომიტეტის თავმჯდომარე ლევან დემეტრაშვილი გახდა. იგი 2013 წლის 8 მაისამდე „ლებეს“ 50 პროცენტიან წილს ფლობდა, რაც მან ქონებრივ დეკლარაციაში არ მიუთითა.[76] 2012 წლის 31 ოქტომბერს „ლებეს“ ორი არაკონკურენტული კონტრაქტი გაუფორმდა (მთლიანობაში 66,000 ლარი), 2013 წლის მარტში – 400,000 ლარის ღირებულების კონტრაქტი, ხოლო იმავე წლის 16 მაისს, დემეტრაშვილის მიერ კომპანიის საკუთარი წილის გასხვისებიდან ერთ კვირაში, კომპანიამ კიდევ ერთი 400,000 ლარიანი კონტრაქტი მიიღო.[77]

ჯამბულ შუღლაძეს 2012 წლის შემოდგომიდან წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობა უკავია. წლის განმავლობაში სამშენებლო კომპანია **„ჯ და ჯ“**–მ (საიდენტიფიკაციო კოდი: 221269080), რომლის 50%-იან წილსაც შუღლაძე ფლობს, სახელმწიფოსთან პირდაპირი წესით 5000 ლარზე მეტი ღირებულების 5 კონტრაქტი გააფორმა, რომელთა მთლიანი ღირებულება 2,71 მილიონი ლარი იყო. კონტრაქტები კომპანიამ ქუთაისის მუნიციპალიტეტთან და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან გააფორმა. შუღლაძემ კომპანიაში მისი კუთვნილი წილის შესახებ 2012 წლის ქონებრივ დეკლარაციაში მიუთითა, 2013 წელს კომპანიიდან მან 25,000 ლარი შემოსავალი მიიღო.[78]

შპს **„ფიროსმანმა“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 245423956) 2011-2012 წლებში ქალაქ ბათუმის მერიასთან და ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებთან 9 მსხვილი კონტრაქტი გააფორმა, რომელთა მთლიანი ღირებულება 3.92 მილიონი ლარი იყო. კომპანიის 33%-იანი წილის მფლობელი **რევაზ არძენაძეა**, რომელიც 2008 წლიდან 2012 წლის ოქტომბრამდე აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო. ქონებრივ დეკლარაციაში მან მიუთითა, რომ 2011 წელს „ფიროსმანში“ არსებული წილიდან 100,000 ლარის შემოსავალი

[74] http://corpsearch.tigeorgia.webfactional.com/en/corporations/2160181/.
[75] https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=47092, https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=7382.
[76] https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=47761.
[77] http://corpsearch.tigeorgia.webfactional.com/en/corporations/2112233/.
[78] 2012 წლის დეკლარაცია: https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=8493, 2013: https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=47362.

მიიღო, თუმცა ამტკიცებდა, რომ კომპანიასთან კავშირი 2011 წლის შუაში გაწყვიტა.[79] საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით, არძენაძე კვლავ კომპანიის მეწილედ რჩება.[80]

შპს **„აჭარგანათებამ“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 245546486) ბათუმში არსებულ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან 10 სამშენებლო კონტრაქტი გააფორმა, რომელთა მთლიანი ღირებულება 3.49 მილიონი ლარი იყო.[81] კომპანიის დირექტორია ნიკოლოზ თოფურიძე, რომლის მამა, კომპანიის ძირითადი მფლობელი თამაზ თოფურიძე, 2012 წლის ზაფხულში გარდაცვალებამდე ბათუმის საკრებულოს წევრი იყო.[82]

კომპანია **„ევროკანდელა“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 404399156) 2011 წლის 27 აპრილს დაარსდა.[83] დაარსებიდან სამი კვირის შემდეგ, 16 მაისს, კომპანიამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კუთვნილ ორგანიზაციასთან „ანაკლია-განმუხური რესორტსი“ პირდაპირი წესით გააფორმა 2.1 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტი, რომელიც გარე განათების ბოძების მიწოდებას ითვალისწინებდა;[84] 2011 წლის სექტემბრის ბოლოს, იმავე ორგანიზაციამ „ევროკანდელასთან“ კიდევ ერთი, 133,265 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა.[85] 2011 წლის 13 ოქტომბერს, მუნიციპალური განვითარების ფონდმა, რომელიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ექვემდებარება, „ევროკანდელასგან“ პირდაპირი შესყიდვის წესით შეიძინა მესტიაში დასამონტაჟებლად განკუთვნილი 598,954 ლარის ღირებულების გარე-განათების ბოძები.[86] 2011 წლის აპრილიდან აგვისტომდე კომპანიის 50 პროცენტიან წილს **ნუგზარ კევლიშვილი** ფლობდა.[87] 2011 წლის აგვისტოში კომპანიის 100 პროცენტიანი წილის მფლობელი მისი თანადამფუძნებელი გიორგი კერესელიძე გახდა, ხოლო ნუგზარ კევლიშვილი იმავე წლის სექტემბერში რეგიონული განვითარების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდა. კევლიშვილს თანამდებობა 2012 წლის მაისამდე ეკავა, თუმცა ქონებრივ დეკლარაციებში აღნიშნულ კომპანიასთან კავშირის ან კომპანიისგან მიღებული შემოსავლების შესახებ მას არ მიუთითებია.[88]

პარლამენტის ახლანდელ და ყოფილ წევრებთან დაკავშირებული კომპანიები

დეპუტატი სერგო ხაბულიანი: 16 არაკონკურენტული კონტრაქტი, 12.3 მილიონი ლარი.

[79] https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=5643.
[80] https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=573994&app_id=653224
[81] http://corpsearch.tigeorgia.webfactional.com/en/corporations/2141118/.
[82] http://www.batumicc.ge/index.php?lang=2&page=menu&top_menu=1&l_menu=9,
[83] http://corpsearch.tigeorgia.webfactional.com/en/corporations/2209131/.
[84] http://bit.ly/Eurocandela-1.
[85] http://bit.ly/Eurocandela-2.
[86] http://bit.ly/Eurocandela-3.
[87] http://corpsearch.tigeorgia.webfactional.com/en/corporations/2209131/.
[88] https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=5340, https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=7250.

ხაბულიანი 2012 წელს ცაგერის რაიონის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარ დეპუტატად აირჩიეს. პარლამენტში შესვლის შემდეგ დეპუტატმა პარტია დატოვა და თანადააფუძნა ფრაქცია სახელწოდებით „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარები“.[89] დეპუტატი სამშენებლო კომპანია შპს **„ცეკურის“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 209442174) 62.5%-იანი წილის მფლობელია. კომპანიამ 2011 წლიდან მოყოლებული პირდაპირი წესით 16 სახელმწიფო კონტრაქტი გააფორმა.

აღნიშნული კონტრაქტებიდან ორი ხაბულიანის პარლამენტში შესვლის შემდეგ გაფორმდა: 2013 წლის 5 ნოემბერს, დეპუტატის მიერ „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვების შესახებ გამოცხადების დღეს, მცხეთის მუნიციპალიტეტმა „ცაკურთან“ 31,787 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა. 2013 წლის აგვისტოში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გზების დეპარტამენტმა „ცეკურთან“ 6.8 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა. 2012 წლის ქონებრივ დეკლარაციაში, დეპუტატმა „ცეკურიდან“ მიღებული 1,389,612 ლარის შემოსავლის დეკლარირება მოახდინა.[90]

დეპუტატი კახაბერ ოქრიაშვილი: 142 კონტრაქტი, 4.94 მილიონი ლარი.

ოქრიაშვილმა 5000 ლარზე მეტი ღირებულების 142 არაკონკურენტული კონტრაქტი მთლიანი ღირებულებით 4.94 მილიონი ლარი.[91] ოქრიაშვილი პარლამენტში დმანისის რაიონის „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარად შევიდა, თუმცა ახლა იგი ფრაქცია „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ წევრია. დეპუტატი პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრია, ამავე დროს ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებელი და მედიკამენტების საცალო ვაჭრობის კომპანია „პე-ეს-პე ფარმას“ 100%-იან წილს ფლობს. 2012 წელს, ოქრიაშვილმა „პე-ეს-პე“-დან მიღებული 11.75 მილიონი ლარის პირადი შემოსავლის დეკლარირება მოახდინა.[92]

- **„პე-ეს-პე ფარმამ“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 202203123) სახელმწიფოსთან 65 კონტრაქტი გააფორმა. მთიანი ღირებულება 2.39 მილიონი ლარი;
- **„ნიუ ჰოსპიტალსმა“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 205210467), რომელიც „პე-ეს-პე ფარმას“ შვილობილი კომპანიაა, სახელმწიფოსთან 64 კონტრაქტი გააფორმა. მთლიანი ღირებულება 1.44 მილიონი ლარი;
- კომპანიამ **„სუფთა სამყარო აჭარაში“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 445386742) სახელმწიფოსთან 13 კონტრაქტი გააფორმა. მთლიანი ღირებულება 1.12 მილიონი ლარი.

ყოფილი დეპუტატი თემურ კოხოძე: 214 კონტრაქტი, 7.39 მილიონი ლარი.

[89] http://civil.ge/geo/article.php?id=26180
[90] https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=44084.
[91] მცირე ღირებულების, 5000 ლარზე ნაკლები, შესყიდვების ჩათვლით, მის კომპანიას 538 კონტრაქტი გაუფორმდა. მთლიანი ღირებულება – 5,541,462 ლარი.
[92] https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=46193

კოხოძის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 2008 – 2012) ძირითად ბიზნესს, კომპანია **„თეგეტა მოტორსს“**, 2010 წლის დეკემბრიდან 2012 წლის ბოლოს მისი დეპუტატობის ვადის ამოწურვამდე 5000 ლარზე მეტი ღირებულების 214 კონტრაქტი გაუფორმდა. კონტრაქტების მთიანი ღირებულება 7.39 მილიონი ლარი იყო.[93] 2011 წლის ქონებრივ დეკლარაციაში კოხოძემ „თეგეტა მოტორსიდან“ მიღებული 505,000 ლარის შემოსავლის დეკლარირება მოახდინა.[94]

დეპუტატი გოჩა ანუქიძე: 415 კონტრაქტი, 30.9 მილიონი ლარი.

2011 წლიდან მოყოლებული ავტომობილების რამდენიმე კომპანიას, რომელთა წილსაც ამბროლაურის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ენუქიძე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) ფლობს, პირდაპირი წესით ასობით კონტრაქტი გაუფორმდა:

კომპანია	**ენუქიძის წილი**	**კონტრაქტების რაოდენობა (5000+ ლარი)**	**ღირებულება (ლარი)**
კია მოტორს ჯორჯია	30%	130	14,668,299
იბერია მოტორს	25%	13	300,528
იბერია ავტო	20%	17	1,155,479
იბერია ავტო ლენდი	21.25%	43	1,103,702
იბერია სერვისი	25%	184	11,884,783
შპს სენა ავტო	21.25%	28	1,766,802
		415	**30,879,593**

ყოფილი დეპუტატი კანდიდ კვიციანი: 17 კონტრაქტი, 31.9 მილიონი ლარი.

შპს **„ნიუ ქონსთრაქშენმა“**, რომელსაც ადრე შპს **„ენგური 2006“** ერქვა, სახელმწიფოსთან 31.9 მილიონი ლარის საერთო ღირებულების 17 არაკონკურენტული კონტრაქტი გააფორმა. კომპანიამ კონტრაქტების უმეტესობა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და მესტიის მუნიციპალიტეტთან გააფორმა. აღსანიშნავია, რომ “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ადრინდელი კვლევის შედეგად გამოავლინა, რომ „ნიუ ქონსთრაქშენს“ კავშირი ჰქონდა მესტიაში საკუთრების უფლებების დარღვევებთან.[95] „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ მესტიის რაიონის ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატ (2008-2012 წლებში) **კანდიდ კვიციანს** ქონებრივ დეკლარაციაში „ნიუ ქონსთრაქშენში“ მისი 50%-იანი წილის შესახებ არ მიუთითებია (მან მხოლოდ ის მიუთითა, რომ მისი შვილი „ენგური 2006“–ში კონსულტანტად მუშაობდა).[96]

[93] მოყვანილ მონაცემებში არ შედის „თეგეტა მოტორსის“ სხვადასხვა მცირე შვილობილი კომპანიები.
[94] https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=7086
[95] http://transparency.ge/blog/mestiashi-sakutrebis-uplebis-khelqopis-sakmeebze-kandid-kvitsianis-interesebi-ikveteba.
[96] https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=7034, http://corpsearch.tigeorgia.webfactional.com/en/people/2620869/.

ყოფილი დეპუტატი ასლან თავდგირიძე: 11 კონტრაქტი, 5.59 მილიონი ლარი.

სამშენებლო კომპანია **„ხინომ“**, რომელსაც აჭარის რეგიონიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის (2008-2012 წლებში), ასლან თავდგირიძის მეუღლე, ციური დავითაძე ფლობს, 2011და 2012 წლებში ბათუმის მერიისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისგან (თავდგირიძის საარჩევნო ოლქი) პირდაპირი წესით 5.59 მილიონი ლარის საერთო ღირებულების კონტრაქტები მიიღო.[97] 2011 წლის ქონებრივ დეკლარაციაში თავდგირიძეს კომპანიასთან მისი მეუღლის კავშირის შესახებ არ მიუთითებია.[98] 2012 წლის დეკლარაციაში თავდგირიძემ მიუთითა, რომ მისმა მეუღლემ წინა წელს კომპანია „ხინოდან“ 81,300 ლარის შემოსავალი მიიღო.[99] სადეპუტატო ვადის გასვლის შემდეგ თავდგირიძე „ხინოს“ დირექტორად მუშაობს.[100]

[97] http://bit.ly/Khino-1, http://bit.ly/khino-2, http://bit.ly/Khino-3.
[98] https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=4441,
[99] https://declaration.gov.ge/eng/declaration.php?id=6989.
[100] https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=532976&app_id=610005.